



ილორი



E-mail: roland.jalagania@mail.ru
E-mail: r.jalagania@mail.ru
E-mail: gazetiilori@gmail.com

№373 (432) 26 ივლისი – 2 აგვისტო 2016 წ. სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორბანო ფასი 50 თეთრი
სირსხვილი ის კი არ არის, რომ მებრულად ლაპარაკობან, არამედ ისაა, რომ დანარჩენმა ქართველებმა არ ვიხით მებრული ვნა – აააკი შანიძე

სერბი საჯარო:

ნიკა გვარამია – “მზნებარე”
ჭაბუკობიდან “რუსთავი-2”-ის
მთავარ დიასახლისობამდე
(შეფინიობამდე)

გვ.7

სააკაშვილმა თურქ მამინათვალს რუსთაველი მინის ნაქვეთი სიმბოლურ ფასად, 1 ლარად გაღასა

...თურქეთის სათავეში გიულენი რომ მოსულიყო, ყველაფერს
იდონებდა საქართველოს ხელისუფლებაში თავისი გერის
დასაბრუნებლად. ყოველივე უბედურებაზე ხელის მომწერმა ნა-
ციონალებმა და მათმა სიფილისიანმა “ბელადმა” წინასწარ თადარიგი
იმით დაიკავეს, რომ აჭარაში ეარშადლომდე ჩავიდა და სწორედ მას
უნდა მოემზადებინა სიტუაცია ასარევედ, რომელშიც შემდეგ
გიულენის ერთგული თურქი სამხედროები ჩაერეოდნენ და საქართვე-
ლოს პრაქტიკულად შუაში იქნებოდა გაწვევტილი...

გვ.6

პასტანგ გვარამია:

...როგორც იქნა, მივადწიეთ დანიშ-
ნულ ადგილს და იქ შევხვდით
თენგიზ კიტოვანსა და თამაზ დუმ-
ბაძეს. მათ პირდაპირ გვითხრეს,
რომ აუცილებლად უნდა
გადამდგარიყო ზვიად გამსახურდია,
რადგან სისხლი დაიღვარა და სხვა
გამოსავალი არ გვაქვს... გვ.3



ზვიად გამსახურდია: ამ
ნაპირალუბრისგან მე
ნამებულაბს ვერ შევქმნი!

ჰაელაბ ჭიპაშვილი: კუბის ქრიზისიდან პარშაშვის სამიტამდე

გვ.2

11 ათას ლარად გაყიდული ეკის მთა და გარემო ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე

გვ.5

იზა თამაზაშვილი: საქართველოს მოაზროვნე საზოგადოების ქართული ოცნება რუსეთთან სამოქალაქო ხელშეკრულების გაფორმება და ევრაზიული ეკონომიკური სივრცეა

გვ.8



ინტერვიუ აფხაზ ჟურნალისტ
ირმა ოსიანთან.

ბელენდი თბილისი-სოხუმი – კომუნიკაცია აფხაზეთთან მუობლიურ ენაზე

გვ.9

ნუგზარ კვაშილაძე: უცხო სიტყვათა კოლხური ნარმოვავლობა

გვ.10



წყალს გატანებული ნაწყალობავი

გვ.4



“შეტეულა- ბატეულა” ანუ დამიჭირე, თუ ბიჭი ხარ!

გვ.9

კუბის კრიზისიდან პარუაზის საიზაიდა

ნატოს ვარშავის სამიტზე სენსაციური არაფერი მომხდარა. გადაწყვეტილებები, მიღებული ვარშავაში, კარგა ხნის წინათ იქნა შემუშავებული აშშ-ს და მისი ნატოელი პარტნიორების მიერ. სამიტმა, უბრალოდ, დაამტკიცა ისინი – უპირველესად 4000 სამხედროს ბალტიისპირა ყოფილ სამ საბჭოთა რესპუბლიკასა (ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) და პოლონეთში განთავსება.

4 ბატალიონი აღიჭურვება ამერიკული მძიმე სამხედრო ტექნიკით, სხვა შეიარაღებით, რითაც დაირღვევა ევროპაში აქამდე არსებული თანაფარდობა ნატოს რუსეთს შორის. რუსეთის ხელისუფლებამ არაერთხელ განაცხადა ამის თაობაზე. ბალანსის აღდგენის მიზნით მან საკუთარ საზღვრებში ჯარის გადაადგილების გადაწყვეტილება გვაძინო, რაც ნიშნავს შემდეგს – რუსი სამხედროების მიერ სასაზღვრო რაიონებთან პერმანენტულ დაბანაკებას, შესაბამისი შეიარაღებით.

ნატოს გადაწყვეტილებამდე რუსეთი, პარიტეტის დაცვის მიზნით, თავს იკავებდა მსგავსი ქმედებისგან. დღეს, ის აცხადებს, რომ ნატოს საპასუხოდ – ქვეყნის თავდაცვის უზრუნველსაყოფად, იძულებულია გადადგას ნაბიჯები. ასე და ამრიგად, შუაგულ ევროპაში, უფრო სწორად მის აღმოსავლეთის ფლანგზე საკმაოდ მნიშვნელოვან სამხედრო დაჯგუფებას მოყვრება თავი, რაც თავისთავად დაძაბავს ვითარებას და შექმნის მუდმივი სამხედრო განგაშის მდგომარეობას.

გაუძლებს თუ არა ნატო ან რუსეთი პერმანენტულ დაძაბულობას? ვინ იცის. ერთ მშვენიერ დღეს, პატარა თავშეუკავებლობა შეიძლება საბედისწერო გამოდგეს ორივესთვის. მაგრამ მარტო მათთვის, იქნებ მთელი მსოფლიოსთვის?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არაერთ დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, მათ შორისაა კუბის 1962 წლის კრიზისი. მესამე მსოფლიო ომის, თანაც ბირთვულის სუნი ტრიალებდა იმჟამინდელ მსოფლიოში, რაც დასავლეთის, კერძოდ აშშ-ს ძალიან სხმევით შეიქმნა.

ცნობილი ფაქტია – მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, აშშ-ს მიერ ანტისაბჭოური დოქტრინის შემუშავება, რომლის უმთავრესი მიზანი ომში გამარჯვებული საბჭოთა კავშირის დამარცხება იყო. გემის მიხედვით, ასე საბჭოთა ქალაქი უნდა განადგურებულიყო ატომური ბომბებით, წერტილი უნდა დასმოდო კომუნისტების არსებობას.

აღნიშნული პროექტის განხორციელებლად, აშშ-მა რაკეტები განაღდა თურქეთსა და იტალიაში, საიდანაც განხორციელდებოდა სსრკ-ს სამხრეთის დაბომბვა. იმჟამად აშშ-სსრკ-ს შორის არავითარ სამხედრო, მითუმეტეს ბირთვულ პარიტეტს ადგილი არ ჰქონდა. შეფარდება ამერიკის სასარგებლოდ დადგება – 5/1-ზე. არათანაბარი პოზიციიდან თავის დაღწევის მიზნით, საბჭოთა ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა მეგობარი კუბის ტერიტორიაზე რაკეტების განლაგება და მათი საბრძოლო მოქმედებაში მოყვანა.

ოპერაცია „ანადროი“ ისე საიდუმლოდ წარიმართა, რომ აშშ-ს სადაზვერუო სამსახური აზრზეც ვერ მოვიდა საბჭოთა რაკეტების კუბაზე ჩატანა-განთავსების გამო. აღნიშნული ბირთვული რაკეტების მომსახურების მიზნით კუბაზე 44.000 საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე იყო გადასროლილი.

ამერიკელებს არა მარტო საბჭოთა კავშირის დაბომბვა ჰქონდათ გადაწყვეტილი, არამედ კუბის. მათთვის მიუღებელი იყო რევოლუციური მთავრობა, ფიდელ კასტროს ხელმძღვანელობით.

საბჭოთა რაკეტების კუბაზე არსებობა შემთხვევით იქნა აღმოჩენილი ამერიკის დაზვერვის მიერ, რამაც სერიოზული განგაში გამოიწვია. ამერიკელი გენერლები დაბეჯითებით მოუწოდებდნენ პრეზიდენტ კენედის საბჭოეთის წინააღმდეგ ომის

დაწყებას. პრეზიდენტის „ოვალურ კაბინეტში“ საგანგებო შეკრების დროს სამხედროთა მოთხოვნა კატეგორიული იყო. მსოფლიო ბირთვული ომის წინაშე აღმოჩნდა და რომ არა პრეზიდენტ კენედის პრაგმატული გადაწყვეტილება, მსოფლიო მშვიდობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა.

პრეზიდენტი სასწრაფოდ დაუკავშირდა საბჭოთა ხელმძღვანელს ხრუშჩოვს და მოლაპარაკება შესთავაზა. კრემლმა მიიღო თეთრი სახლის წინადადება. კენედი-ხრუშჩოვის მოლაპარაკება პოზიტიურად წარიმართა. აშშ-მა უარი განაცხადეს საბჭოეთზე თავდასხმაზე. გაიტანეს რაკეტები თურქეთიდან და იტალიიდან, ხოლო საბჭოთა კავშირმა გამოიტანა რაკეტები კუბიდან. აშშ-მა განაცხადეს, რომ ხელს აიღებდნენ კუბაზე შეჭრის გეგმიდან.

კუბის კრიზისი აშკარა დასტურია იმისა, თუ რა საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს მსოფლიო დიდი სახელმწიფოს დაუფიქრებელი მოქმედების შედეგად. მას შემდეგ ბევრმა წყაღმა ჩაიარა. ორთა შორის იყო დაძაბულობაც და დაძაბულობის განვლების პერიოდებიც, იყო ძალთა დემონსტრირებაც და იყო მოლაპარაკებების შედეგად მოპოვებული სულის მოთქმის ეპიზოდები, მაგრამ 1962 წლის კუბის კრიზისის შედეგად შექმნილ დაძაბულობას ადგილი აღარ ჰქონია.

ვითარება კარდინალურად შეიცვალა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. „ციფრებში“ გამარჯვებულმა ამერიკამ ისეთი თვალთ შეხედა რუსეთს, როგორც მიღებულია გამარჯვებულ-დამარცხებულს შორის, თუმცა გამარჯვებულის ზეიმი დიდხანს არ გაგრძელდება. ახალი საუკუნის დასაწყისიდან მკვეთრად შეიცვალა რუსეთის საშინაო პოლიტიკა, სამხედრო საქმისადმი დამოკიდებულება და აქედან გამომდინარე საგარეო პოლიტიკა. პუტინის რუსეთმა არ ისურვა აშშ-ს ვასალობა და საკუთარი საგარეო კურსით აგრძობინა ვაშინგტონს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის თაობაზე.

დამოუკიდებელთან და სუვერენულთან სალაპარაკო ენა აშშ-ს განსხვავებული აქვს. მასში ჭარბობს სამხედრო ლექსიკა, ძალისმიერება. პირველი გამოვლინება ამისა ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაციის დროს მოხდა – ევროპაში რაკეტ-საწინააღმდეგო სისტემების განლაგების პროექტის სახით. რესპუბლიკელი ბუშის პროექტს რეალური მხარდაჭერა დემოკრატიკა ობამამ აღმოუჩინა. სწორედ მისი გადაწყვეტილებით დაიწყო რუმინეთსა და პოლონეთში რაკეტ-საწინააღმდეგო „ქოლდგის“ დისლოცირება – შესაბამისი სამხედრო კონტიგენტის გათვალისწინებით.

არაერთი მოლაპარაკება გაიმართა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ ამერიკულმა მხარემ არ გაიზიარა რუსეთის წინადადება – ოფიციალური დოკუმენტის შექმნის თაობაზე. რუსეთი ამერიკისგან ითხოვდა ზეპირი განცხადების დოკუმენტად ქცევას, სადაც ჩაიწერებოდა, რომ ევროპაში განთავსებული ამერიკული რაკეტები არ იქნება რუსეთზე დამინებულნი.

„დოკუმენტი საჭირო არ არის, ვინაიდან ვერბალურად ვაცხადებთ, რომ ევროპაში განთავსებული ანტისარაკეტო სისტემა ირანის რაკეტების გასანეიტრალებლად გამოიყენება და არა რუსეთის“, – აცხადებდა აშშ-ი.

ვარშავაში გამგზავრებამდე, გერმანიის ბუნდესტაგში გამოსვლის დროს, კანცლერმა მერკელმა იგივე განაცხადა, თან ისიც დაუმატა, რომ რუსეთთან მოლაპარაკების გარეშე ვერობასა და მსოფლიოში მტკიცე მშვიდობა შეუძლებელია.

ამერიკულ ანტისარაკეტო სისტემებს ნატოს 4000-იანი სამხედრო ბატალიონიც დაემატა, ვითომდა რუსული აგრესიის შესაკავებლად. „უკრაინაში შეჭრისა და ყირიმის ანექსიის შემდეგ, გვემინია, რუსეთმა მსგავსი რამ ჩვენს მიმართ არ განახორციელოს“ – რახანია გაპყვირიან ბალტიისპირა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები და პოლონეთი. მათ მხარს უბამს ნატო-ს დანარჩენი წევრი ქვეყნები და ამ ისტერიულ წიკინს აშშ-ი დირიჟორებს.

ბალტიისპირელთა „შეშინებულ“ კივილს ხმას უერთებს საქართველოს დასავლური ხელისუფლება – „არიქა, გვიშველეთ, რუსები მოდიანო“.

რა ქნას, რა გზას დაადგეს „სტრატეგიული მოკავშირეების“ ბედით „შეღონებულ“ აშშ-ი? ერთადერთი გამოსავალი – რუსეთის სამხედრო-სარაკეტო რკალში მოქცევაა, იარაღის ძალით ჯიუტი, ურჩი პუტინის დაჩოქება.

დღეს ძნელია, ზუსტად განსაზღვრა იმისა, დასავლეთში პირველმა ვინ დაიწყო კივილი – „რუსი მოდისო“, რომ რუსეთი ცალმხრივად აპირებს მესამე მსოფლიო ომის გაჩაღებას და ა.შ. მოწიკინის როლზე ყველა ერთად აცხადებდა პრეტენზიას. თვით დაიწყეს მათ კივილი თუ სხვამ ააკივლა ისინი?

სარწმუნო წყაროების მიხედვით, კივილის ორგანიზატორები ვაშინგტონში არიან. მათ ააკივლეს აღმოსავლეთ ევროპა და მათვე განაცხადეს – ჩვენ რა ვქნათ, ჩვენი მოკავშირეები ხომ უნდა დავიცვათო?

ასე და ამრიგად, კივილის შემკვეთები „გამოუყვალ“ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და იძულებული შეიქმნენ ანგარიში გაეწიათ მომიკვიანთათვის. მომიკვიანთა შორის ლიტვის პრეზიდენტი, ქალბატონი გრიბაუსკაიტე გამოირჩევა, რომელსაც პრეზიდენტობის პირველივე დღიდან ელანდება რუსული ტანკების ვილნუსში შეჯლივინება. მისი ისტერიული კივილი გადაძვებდა აღმონდა მეზობელი ქვეყნებისთვის და არა მარტო მათთვის, ჩვენითვისაც.

რამ შეაშინა მოსკოვში უმადლეს-განათლებლადებული და მარქსიზმში საკანდიდატო-დაცული, მოჭიდავე (ის ჭიდაობით იყო გატაცებული) ქალბატონი? ვინ და მან კარგად უნდა იცოდეს რუსული ხასიათი, მაგრამ ეს რა შუაშია, თუკი „პარტია“ მოითხოვს?! (ამ შემთხვევაში „პარტია“ აშშ-ია.)

ბალტიისპირელთა ხმას თავისას აყოლებს ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგი. მისთვის, ვარშავის სამიტი პირველია და აქედან გამომდინარე თავი ხომ უნდა დაამახსოვროს „დიდ ბიძებს“ და „დეიდებს“, მერკელ-მოგერიების სახით? საიდან, ესოდენ რუსოფობია? „წითლად“ განწყობილ ოჯახში ხომ სხვა სული ტრიალებდა?

სტოლტენბერგის დაიკო (კამილა სტოლტენბერგი) აქტივისტი იყო „წითელი ახალგაზრდობის“ – მარქსისტულ-ლენინური ახალგაზრდული ორგანიზაციის, სადაც ემპაწილი იენსიც აქტიურად მოღვაწეობდა, მონაწილეობდა რა ვიეტნამში აშშ-ს ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციებში; შემდეგ ჟურნალისტობა გაზეთში, რომელიც მემარცხენეობით იყო ცნობილი. 2014 წლიდან ხელმძღვანელობს ის ნატოს და როგორც სარწმუნო წყაროები ამბობენ, გერმანიის კანცლერის მერკელის რეკომენდაციით – თავის დროზე კიდევ ერთი მემარცხენის. მერკელი ხომ აღმოსავლეთ გერმანიიდან არის და ახალგაზრდობაში გდრ-ს კომკავშირის რიგებშია გამოწრთობილი.

დღევანდელი იენს სტოლტენბერგი სულ სხვაა. მთიერად რა გენერალური მდივანის საგარემო, პირველი რაც თქვა იყო: „რუსეთის შესაკავებლად საჭიროა სამხედრო ძლიერების, მათ შორის ბირთვულის გაზრდა“.

საყურადღებო ფაქტია – ნატოს ბოლო სამი გენერალური მდივანი პატარა სახელმწიფოების წარმომადგენლებია, რაც აშშ-ს ფსიქოლოგიური გათვლის ნაყოფია. პატარა ქვეყნების წარმომადგენლები უფრო დამჯერები არიან – აშშ-ს დავალების უწყომანო შემსრულებლები. გენერალურ მდივანს, ბირთვულ დილაკზე თითს არავინ

დააჭერინებს, მაგრამ პოლიტიკურ შეკვეთას კი განახორციელებინებს.

შეკვეთა ასეთია – ნატოს ინფრასტრუქტურის რუსეთის საზღვრებამდე მიტანა. რას მოუტანს ეს ევროპას, მსოფლიოს – ამაზე არც ბრიუსელი ფიქრობს და არც ვაშინგტონი.

რუსეთმა უკვე დაიწყო სამხედრო ძალების დასავლეთის საზღვრებისკენ გადასროლა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, იქ ამჯერად (საზღვრის ორივე მხარეს) დიდძალი სამხედრო იარაღი და ჯარი მოიყრის თავს. განდგება თოფის სასხლეტისთვის თითის გამოჭერის აშკარა საფრთხე – მაშინ ხომ კუბის კრიზისი მინაგონი იქნება?!

მავანი მეტყვის – თავიც უმტრევიათ რუსეთსა და ნატოს, ჩვენ რაო? ჩვენ ის, რომ ჩართული ვართ ნატო-ურ ფერხულში. ეს რომ ასეა, დამტკიცდა აშშ-ს სახელმწიფო მდივნის ქერის ვიზიტის დროს. „ვიცი, რომ ამჟამად უსაფრთხოებასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე დგახართ. ამჟამად, ამ პრობლემის წინაშე ყველა ჩვენგანი დგას, ამდენად, ჩვენთვის უადრესად სასიამოვნოა თქვენთან თანამშრომლობის შესაძლებლობა“, – განაცხადა მან.

ნატოს სამიტის წინ ამერიკელი მაღალჩინოსნის საქართველოსა და უკრაინაში საინსპექციო ვიზიტი აშკარა გამოხატულებაა იმისა, რომ ვაშინგტონი აფასებს საქართველო-უკრაინის ლტოლვას დასავლეთისკენ – „ინარჩუნებთ სურვილს, თქვენი მხერა დასავლეთს მიაპყროთ“, – ქერის ნათქვამი არა მარტო საქართველოს ხელისუფალთაგან მოსმენილის კონსტანტინოვი, არამედ მომავალი პოლიტიკური გეზის რეალიზაციის დირექტივაცაა.

მან შეგვიყო გზა, რომელსაც 25 წელიწადია ვაღვაწერ და აღნიშნა: „თქვენ განახორციელეთ მნიშვნელოვანი რეფორმები... თქვენი ქმედებები არაა მიმართული დამსჯელობითი მიზნებისკენ და მოქმედებთ თქვენი მოსახლეობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად“.

ქერმა დაგვხედა, გავამხსნევა, თავისი სათქმელი თქვა, შეხედა მთავრობასაც და „საკუთარ“ ოპოზიციას „ნაცებისა“ და „თავისუფალი დემოკრატების“ სახით და დარწმუნებული იმაში, რომ ისევე „დასავლეთისკენ ვიყურებით“, გაუღდა უკრაინა-პოლონეთის გზას.

ჩვენ კი, გაბრაზებული ვიძახით – მოლაშვილის მკვლელებს და ჯალათ ბოკერიას რატომ შეხვდათ. ბოკერია, სააკაშვილი და მთლიანად „ნაცური“ გუნდი აშშ-ს პოლიტიკის პირშია, თან ისეთი ოქროს რეზერვია, რომელმაც ნებისმიერ დროს ხელისუფლება უნდა ჩაანაცვლოს. სააკაშვილები და ალანანიები ამერიკული პოლიტიკის მტკიცე საყრდენია საქართველოში – ანტირუსული ისტერიის გამღვივებლები. ასეთები არ იკარგებიან. ასეთებს პატივს სცემენ ამერიკელები.

ქერის განცხადება „მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესებასთან“ დაკავშირებით ისევე ცუდად ახახავს რეალობას, როგორც ხელისუფლების მიერ გატარებული რეფორმები. მავანს უდავოდ დაეხადება ეჭვი, რომ ამერიკელმა მაღალჩინოსანმა არ იცის, რა ხდება საქართველოში. ეჭვი მეპარება, რომ ეს ასეა, ვინაიდან ამერიკის საელჩო სისტემატურად აწვდის ინფორმაციას სახელმწიფო დეპარტამენტს. მაშ, რაშია საქმე?

იმაში, რომ არცერთ ამერიკელ მაღალჩინოსანს არაფრად მიანია ქართველი ხალხი და მისი გაუარესებული სოციალური მდგომარეობა. ამერიკას არც ის ანაღვლებს, თუ რა დაძაბულობა შექმნის აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთის საზღვართან ნატოს 4 ბატალიონის განლაგება. ამერიკა შორსაა. ის თავს დაცულად გრძობს და სულაც არ ენაღვლება ახალი „ცივი ომის“ წამოწყება.

ჰამლეტ ჰიპოთეზი, პოლიტოლოგი



ზვიად გამსახურდია: ამ ნაძირალეზისგან მე ნაძირალეზს ვერ შევქმნი!

ვახტანგ გვარამია ეროვნულ ხელისუფლებაში რესპუბლიკის გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე გახლდათ. დღეს იგი გახეთ "საქართველო და მსოფლიოს" მკითხველებს მოუთხრობს ერთი საინტერესო მომენტის შესახებ, რომელიც წინ უსწრებდა სახელმწიფო გადატრიალებას.

- 1991 წლის 21 დეკემბერი. დაახლოებით დამის თურთმეტი საათია.

მთავრობის სახლის (ასე ერქვა იმხანად დღევანდელი პარლამენტის შენობას) წინ, სადაც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეთა და მასთან დაპირისპირებული ოპოზიციის ხალხმრავალი მიტინგები ერთდროულად იმართებოდა, დგანან თავდაცვის მინისტრი ჯონი ფორცხაღალიძე, რესპუბლიკის პროკურორი ვაჟა აბაკელია, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე რომან გვენცაძე, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ ნინუა, არიან სხვებიც. მათ შორის - მეც.

- შინაგან საქმეთა მინისტრი არ გისხნებოდა.

- ხალხში გასულ დღეებში ხალხიანს სახეში რაღაც ხსნარი შეასხეს, თვალები დაუზიანეს და, ფაქტობრივად, შრომისუნარი გახადეს, ამიტომ არ იმყოფებოდა იქ, სადაც შეკრებილები ვიყავით.

ამ დროს კი რუსთაველზე ბობოქრობს ორი მიტინგი - ხელისუფლების მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების. დაპირისპირება უაღრესად მწვავეა. ერთი ნაპერწკალია საჭირო და იფეთქებს დიდი ცეცხლი. დაჯახება ყოველ წუთს შეიძლება მოხდეს. ვითარება უაღრესად რთული და, ამასთანავე, ფრიად სპეციფიკურია: დაჯახება არც ერთ მხარეს არ სურს, მაგრამ ასევე არც ერთი უკან არ იხევს. ნებისმიერი მცირე პროვოკაცია სიტუაციას უმართავს გახადდა. სისხლი დაიღვრებოდა უწყველად.

დაპირისპირებაში ორივე მხრიდან მონაწილეობდნენ უაღრესად უხალტირებული ქალები. არა მხოლოდ "კარვის ქალები"...

- "შავი კოლეგტები"?

- ასეც ეძახდნენ. ერთ მხარეს ხელისუფლების მომხრე ქალები იდგნენ, მეორეს - მათი მოწინააღმდეგეები. მასა მასასთან იყო დაპირისპირებული, სახედაკარგული ბრბო.

თენგიზ სიგუა, მთავრობის გადამდგარი თავმჯდომარე, დაუინებოთ იმეორებდა, რომ საჭირო იყო, როგორმე გამოენახათ საერთო ნება, მოეძებნათ კომპრომისი, მაგრამ მისი ხმა იკარგებოდა, "ვითარცა ხმა მდლადებლისა უდაბნოსა შინა".

არც ზვიად გამსახურდია იყო კომპრომისის წინააღმდეგი, მაგრამ ბოლო პერიოდში დაიწყო ყოყმანი. როგორც ჩანს, მის უკან იდგნენ ისეთი პირები, რომლებსაც გაველნა ჰქონდათ, თანაც საკმაოდ დიდი გავლენა და რომლებიც შეთანხმების

წინააღმდეგნი იყვნენ. არადა, იყო ამის საშუალება...

შევიკრიბეთ გამსახურდიას კაბინეტში. შეკითხვაზე რა ვქნათ, ვაჟა აბაკელიამ უპასუხა, რომ მდგომარეობა უკიდურესად რთულია და, ეგებ, რაღაც შეთანხმებას მივადვიოთო. სიტუაცია უმართავი ხდება და კონკრეტულ ხელმძღვანელებს ორივე მხრიდან აღელვებული მასა არ დაემორჩილებოდა. იგივე გაიმეორა რომან გვენცაძემ, მეც იგივე ვთქვი: საერთო ენის გამონახვა იყო ერთადერთი საშუალება კრიზისის დაძლევისა.

სიტუაცია იღებს ერთ-ერთი იქ მყოფი ხელმძღვანელთაგანი (ამჟამად გარდაცვლილია) და ამბობს:

- ბატონო ზვიად, ვახტანგ გვარამიას დაპატიმრებული ჰყავს ჯაბა იოსელიანი, ვეფხვაძე, ყურაშვილი (ბულა) და "მხედრონის" სხვა მოთავეები.

პროკურატურას ისინი მართლაც დაპატიმრებული გვეყავდა. მოთავსებულები იყვნენ უშიშროების იზოლატორში, სადაც, როგორც წესი, გამოძიების პერიოდში იმყოფებოდნენ რეზონანსული საქმეების ფიგურანტები. მაშინ ის იზოლატორი ყველაზე კეთილმოწყობილ და დაცულ ადგილად ითვლებოდა.

უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის შენობა მომიტინგეების აღეაში იყო მოქცეული. მისი აღება მათთვის არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

- არის ერთადერთი გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან, - ეუბნება პრეზიდენტის ხელმძღვანელი, რომლის გვარს არ ვახსებებ.

ზვიად გამსახურდია ინტერესდება, რა გამოსავალზეაო ლაპარაკი.

პასუხად ისმენს:

- თუ ჩემს მიერ დასახელებული ლიდერები გარეთ გამოვლენ, უნდა ვიგულისხმობთ, რომ ხელისუფლება დაკარგულია: გადანახული აქვთ იარაღი, ჰყავთ კარგად გაწვრთნილი ხალხი, მათი შეერთება მიტინგის მონაწილეებთან და, საერთოდ, ოპოზიციასთან ჩვენ დამარცხებას ნიშნავს. გამოსავალი არის მხედრონის ლიდერების უშიშროების №1 საგამოძიებო იზოლატორში (ორთაბჯალის ციხეში იყო მაშინ ეს იზოლატორი) გადაყვანა. თუ ნებას დაგვრთავთ, ბატონო ზვიად, ჩვენ მათ იქ კი წავიყვანთ, მაგრამ ვერც ერთი ადგილამდე ვერ მიადევს, შეეცდებიან გაქცევას და ამ მცდელობას რა შედეგიც მოჰყვება, კარგად იცით...

- ე.ი. მოხდებოდა მათი ლიკვიდაცია?

- დიახ, ყველას დახოცავდნენ...

სინუჩე ჩამოვარდა. ეს იყო ჭეშმარიტების მომენტი. ეტყობა, ამ ვარიანტზე ყველა თავისთვის ფიქრობდა, მაგრამ თქმისგან თავს იკავებდა.

- ასეთ გადაწყვეტილებაზე, როგორც წესი, საჯაროდ არ ლაპარაკობენ. მით უფრო, რომ საეჭვო შედეგი შეიძლება მო-

ჰყოლოდა, გაცილებით უარესი და ყოველად მიუღებელი.

ყოველად მიუღებელი! ტაქტიკური თვალსაზრისით, ასეთი გადაწყვეტილების რეალიზაცია შეიძლება მართლაც ყოფილიყო ხელისუფლების შენარჩუნების საშუალება, მაგრამ მხოლოდ დროებით. სტრატეგიული თვალსაზრისით, პერსპექტივისთვის, ბუნებრივია, უაღრესად უარყოფით ნაყოფს გამოიღებდა.

ზვიად გამსახურდია ჩაფიქრდა.

წუთები საათებით გაიწვლია.

ბოლოს თქვა ის, რაც არასოდეს დამავიწყდება და რასაც სიტყვასიტყვით ვადმოვცემთ:

- გენაცვალე, ამ ნაძირალეზისგან მე წამებულებს ვერ შევქმნი!

ზოგმა მისი ეს პოზიცია სისუსტედ ჩათვალა: ხელისუფლების შენარჩუნება კი უნდა, მაგრამ ასეთი ნაბიჯის გადადგმა არ შეუძლიაო. მაშინ დრამა არ ჩაფიქრებულან, რომ შექმნილ ვითარებაში გამსახურდიას პოზიცია იყო სწორი. ის ხელისუფლება ხვალ თუ ზევ მაინც დაემხოვოდა, შეიძლება, დეკემბრის დარჩენილ დღეებში ძალაუფლება შენარჩუნებინა და იანვარიც გადაეტანა, მაგრამ იმდენი შეცდომა იყო დაშვებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში, ისე დაიძაბა ვითარება მეზობელ ქვეყნებთან და საერთაშორისო ასპარეზზეც, რომ კრაზი ადრე თუ გვიან გარდაუვალი იქნებოდა.

იმ ურთულეს დღეს, იმ უშიშრეს წუთებში ზვიად გამსახურდიამ შეუცდომლად განტვირთა პერსპექტივა და პრეზიდენტის საგარეო პოლიტიკის არ შესწორა ადამიანების, ქართველების (გინდაც "ნაძირალეზის") სიცოცხლე, არ გასცა მათი ლიკვიდაციის სანქცია.

ის ხელმძღვანელი, რომელმაც ლიკვიდაციის ნებართვა ითხოვა, თათბირის შემდეგ მოვიდა ჩემთან და მითხრა:

- ეე, ჩემო ვახტანგ, ამ კაცს უნარი არ აქვს, ხელისუფლება რომ შეინარჩუნოს და დღეიდან ჩვენი გზები გაიყო. მე წავედი...

და წავიდა.

25 თუ 26 დეკემბერს ციხის უფროსმა ტარიელ დილიბაზაშვილმა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის თამაზ ნინუას მითითებით "მხედრონის" დაპატიმრებული ლიდერები გაათავისუფლა.

ნინუას ასეთი განკარგულების გაცემის უფლება არ ჰქონდა.

ჯაბა იოსელიანის შეიარაღებული რაზმები გამოვიდნენ ასპარეზზე, კიტოვანს ამდენი ძალა არ გააჩნდა, გაერთიანდნენ და მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: გამსახურდიას ხელისუფლება დაემხო და ეს ეპოპეაღ დამთავრდა.

- იმ დროს, ეს თათბირი რომ გაიმართა, ჯაბა იოსელიანი და მხედრონელები იზოლატორში რომ იყვნენ დაპატიმრებულები,

თენგიზ კიტოვანი და მისი ამბობებული გვარდია სად იდგა?

- თბილისის ზღვაზე იყვნენ დაბანაკებული. ომი რომ დაიწყო, დილის 4 საათზე გამაღვიძეს ორი საათის წინ შინ მისული, გამომიძახეს მთავრობის სახლში. ინგრევა ყველაფერი, ძლივს შევალწიე შენობაში. მითხრეს, რომ მიზარებდა ზვიად გამსახურდია, რომელიც იმ მომენტში საქმეთა მმართველის კაბინეტში იჯდა, რადგან მისი სამუშაო ოთახი დანგრეული იყო - ფასადის მხრიდან ესროდნენ შენობას. დამავალა, რამდენიმე კაცთან ერთად წავსულიყავი თბილისის ზღვაზე და მოვლავარაკებოთ კიტოვანი. უნდა გავვეგო, რას ითხოვდნენ თენგიზ სიგუა, თენგიზ კიტოვანი და სრულად ოპოზიცია, ომი რომ შეწყვეტილიყო.

თბილისის ავტონისპექციის უფროსის - ლევან კენჭაძის მანქანით წავვდიოდა და ვაღიარებდი შესასრულებლად. თავისუფლების მოედანზე დაგვაკავეს ამბოხებულებმა, მაგრამ ვაჟა ადამიანს მოთხოვნით გავგათავისუფლეს (იმ უბანში მისი ხალხი იყო გამაგრებული). შეიძლება ითქვას, რომ სიკვდილს გადავრჩით - გვესროდნენ, და ადამია რომ არა, ჩვენი საქმე წასული იყო.

როგორც იქნა, მივალწიეთ დანიშნულ ადგილს და იქ შეგხვდით თენგიზ კიტოვანსა და თამაზ დუმბაძეს. მათ პირდაპირ გვითხრეს, რომ აუცილებლად უნდა გადამდგარიყო ზვიად გამსახურდია, რადგან სისხლი დაიდგარა და სხვა გამოსავალი არ გვაქვსო.

დავბრუნდით მთავრობის სახლში, შეგხვდით ზვიად გამსახურდიას და გადავცით დანაბარები. მისი რეაქცია ასეთი იყო:

- ჩემი პრეზიდენტობა ერთი ქართველის სიცოცხლედ არ ღირს. მე აუცილებლად გადავდგები!

გამოვედით კაბინეტიდან. უნგენოდ იქ რა მოხდა, არ ვიცი, მაგრამ პრეზიდენტი არ გადადგარა.

- ის თუ იცით, რაზე შეთანხმდნენ პრეზიდენტი და ამბოხებულები, როცა მას (ზვიად გამსახურდიას), მისი ოჯახის წევრებსა და თანმხლებთ გაუსხნეს "მშვიდობიანი დერეფანი", საშუალება მისცეს დაეტოვებინათ თბილისი და თავი შეეფარებინათ მეზობელი ქვეყნისთვის?

- შეთანხმება არ მომხდარა. არავითარი დერეფანი არ გაუსხნიათ, პირიქით, ხელისუფლებაში მოსულენი მაქსიმალურად შეეცადნენ, სომხეთიდან ზვიად გამსახურდიას დეპორტირებას.

- მაშ, როგორ გავიდა?

- გავიდა იმიტომ, რომ მაშინ თბილისში სრული ქაოსი სუფევდა. ქალაქი გადაკეტილი არ ყოფილა. ჯგუფ-ჯგუფად იყვნენ თავმოყრილები გარკვეულ უბნებში, ისიც აღაგ-აღაგ. არ იყო ერთიანი, ორგანიზებული ძალა, ერთიანი ხელმძღვანელობა.

ესაუბრა არამაზ სანაბლიძე

აკაკი ელიაშვილი: „მე მიბრალება ის ქართველი, ვინც ტყვიას მისვრის“

ტრავმა 2000 წლის 9 ივლისს ზესტაფონში დატრიალდა. პორტების უდიდესმა შემომქმედმა, შეგარდნაძემ და მისი ხუნტის ჯალათებმა, საქართველოს კანონიერი და პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას თანამებრძოლები: აკაკი (აკაკო) ელიაშვილი და გონა გვილაშვილი განსაკუთრებული სისასტიკით, ცინიზმითა და ლანრულოდ, ზურგში სროლით ჩაცხრილეს.

არიან ადამიანები, რომელთა მიწიერი სიცოცხლე, მხოლოდ პირადი კეთილდღეობის ზრუნვასა და ფიქრში გაივლის, მაგრამ იბადებიან ისეთნი, რომელნიც მხოლოდ მამულისა და სამშობლოს სიყვარულით იღვწიან. სწორედ ასეთები იყვნენ აკაკი ელიაშვილი და გონა გვილაშვილი. მათთვის უპირველესი იყო "ენა, მამული, სარწმუნოება".

საქართველოს წმინდა წამებულთა სიას, კიდევ ორი კოლხი მამულიშვილი შეემატა. შეგარდნაძის ყურმოჭრილიმა ჯალათებმა და მანქურთებმა იმ საბედისწერო დღეს, ელიაშვილს და გვილაშვილს კია არა, სრულიად საქართველოს ესროლეს. სწორედ ასეთებზე თქვა დიდი მგონანმა: "ფურთხის ღიზი ხარ, შენ, საქართველო".

ვინ იყო აკაკი ელიაშვილი? "ჭეშმარიტი სენაკელი", 1990 წლიდან საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურ-

დიას ეროვნული გვარდიის მებრძოლია. 1991 წელს სენაკის ბატალიონის მეთაურის, კონსტანტინე კურდღელიას მოადგილეა. კურდღელია გამსახურდიას თბილისიდან წასვლისას მცხეთის ხიდან "პუტჩისტებმა" ჩაცხრილეს. უმეტაურად დარჩენილ სენაკის №2 ბატალიონს, უკვე ექსპრეზიდენტი ზვიად გამსახურდია აკაკი ელიაშვილს უნიშნავს ხელმძღვანელად.

1993 წელს ელიაშვილი აფხაზეთის ომში იბრძვის. სოხუმის დაცემის მთავარ დამანაშავედ შეგარდნაძის მოვალეა ტეხელისუფლება, სხვა "ზვიადისტებთან" ერთად ელიაშვილს აბრალეს.

1993 წელს ელიაშვილი სენაკის ტერიტორიას იპყრობს, უზრუნველყოფს პრეზიდენტის უსაფრთხო დაბრუნებას სენაკში და ერთობლივად აღადგენს გამსახურდიას ხელისუფლებას. პრეზიდენტი მას ანიჭებს პოლკოვნიკის წოდებას და იგი სამხედრო საბჭოს წევრი ხდება.

ბოჩა ბიძიაშვილი - გაღის პარტიზანული რაზმის უფროსი, შემდეგ სენაკის №2 ბატალიონის მეთაურის, ელიაშვილს მოადგილე. ჯალათებმა გვილაშვილს მიჭვირეს მოკლეს, როცა შეეცადა ელიაშვილს დაცვას.

ხუნტის ძალოვნები ელიაშვილს ლიკვიდაციამდე ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის,

რომ ეს ადამიანი ყველანაირად ლაფში ამოსვრილი ყოფილიყო საზოგადოების თვალში. ზოგისთვის ის „აკაკო ყაჩაღი“ იყო, ზოგისთვის კი ეროვნული გმირი. ჯალათებს მეტი არგუმენტი უნდა ჰქონოდა თავის განსამართლებლად, ამიტომაც წაუყენეს ბრალდება დანაშაულის მთელი სპექტრი - სამშობლოს დაღალატი, იარაღის უკანონო ტარება, არაკანონიერი ფორმირებების შექმნა, სამართალდამცავის მიმართ აყვანა და სხვა.

აკაკი ელიაშვილი და გონა გვილაშვილი იყვნენ საქართველოს კანონიერი ეროვნული ხელისუფლების ზვიად გამსახურდიას უკანასკნელი მებრძოლები. ისინი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, კანონიერების აღდგენას რაინდულად შეეწირნენ. მათი დეკლარაციით ხელისუფლებამ შემოღვრებულ დაგეგმილი დესტაბილიზაცია თავიდან აიცილა და საჭიროების შემთხვევაში მიზნად ისახავდა სამეგრელოსა და იმერეთის რეგიონების დაპირისპირებასაც.

გამწარებული ელიაშვილს დედა, რომელიც ადრე აცხადებდა ვერ დავეწყველი შეგარდნაძესო, ვერც შვილის სიკვდილის შემდეგ იმეტებდა დასაწყევლად, მაგრამ მწუხარება იმდენად დიდი იყო, მცოვან

დედას უნებლიეთ აღმოხდა: "შვილო, ზვიად გამსახურდია არ დაინდეს და შენ დაგინდობდა ვინმე?! თუთრმა მელამ ყველა გაიმეტა სასიკვდილოდ, იმას ხომ გული არა აქვს, რატომ მოტყუვდი შვილო, ვის ენდე. შენი მოკვლისთვის ვიღაცა გენერლის წოდებას მიიღებსო".

ჯალათებო! დღეს ხომ უმეტესობა ცოცხლები ხართ. როგორ სუნთქავთ იმ სიმყრალით, რაც თქვენ ჩაიდინეთ და ოდენმე ჩავიღვინეთ. ნუთუ გულში მაინც არ გაქვნიათ სინანულის გრძობა? უფალი ხომ დიდია, თქვენი ცოდვები, თქვენს შვილებსა და შვილთაშვილებზე გადავა. არ გიფიქრიათ ამაზე, მაგრამ ისიც საკითხავია გწამთ ღმერთი? რაღაც არ მჯერა.

დიახ! უბრალოა ამ კოლხში ვაჟაკების, სიმტკიცისა და შეუდრეკელიობის საიდუმლო. სწორედ ესაა მაგალითი სამშობლოს და მამულის სიყვარულის. მსუბუქი ყოფილიყოს ის კოლხეთის მიწა, რომელიც თქვენი საფიცარი იყო. "ნეტარ იყვნენ დევნილნი სიმართლისათვის, რამე თუ მათი არს სასუფეველი ცაოა" - ჭეშმარიტად. "მე მებრალედა ის ქართველი, ვინც ტყვიას მისვრის".

ბიჭიკო თუნთია, სენაკი

წყალს გაზაზნებულ ნაწყალობეში



ანუ სავალდებულო შედეგი იმისა, როცა ხალხმა დღემდე არ იცის, რისთვის და რამდენად კანონიერად დაიხარჯა ამერიკელთა მიერ საგანგებოდ ქუთათურებისთვის ნაწილობრივ მილიონობით ევრო

ბოლო წლების გამოკითხვათა შედეგებმა დაადასტურა, რომ მომწოდებელი კომპანიების მიერ სასმელი წყლით მომარაგება მოსახლეობისათვის ერთ-ერთი ყველაზე მტიკვენიული პრობლემაა.

საქართველო მსოფლიოში გამორჩეულია ამ მაცოცხლებელი სითხის სიუხვით, მაგრამ დღეს ვერც ერთი ჩვენი ქალაქი, დაბა, სოფელი და დასახლებული პუნქტი ვერ დაიტრახება, რომ ნორმალურად არის უზრუნველყოფილი იმ ნორმატიული აქტის შესაბამისად, რომელიც 2008 წლის 26 ნოემბერს „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესების“ სახელწოდებით მიიღო საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ.

ამ დადგენილების მეორე მუხლი მიმწოდებელს ავალდებულებს, რომ უზრუნველყოს „შესაბამისი ხარისხის სასმელი წყლით უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო წყალმომარაგება კანონმდებლობის, ამ წესების და მისი შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად“.

სამწუხაროდ, ამ არსებით მოთხოვნებს საქართველოში წყალმომარაგების ვერც ერთი კომპანია ისევე ვერ აკმაყოფილებს, როგორც სალიტერატურო ქართულის ელემენტარულ ნორმებს მათ მიერ შემოთავაზებული აბდაუბდა. იგივე მდგომარეობაა იმერეთში, მათ შორის ქუთაისშიც. ამის დასტურად საგანგებოდ წარმოვიდგინო საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში სიმძლავრის მიხედვით ერთ-ერთი გამორჩეული რგოლის - ქუთაისის წყალმომარაგების ზოგიერთ არსებით პარამეტრს.

მართლა უწყვეტია და უსაფრთხო?

მთლიანად გაერთიანებულ კომპანიას თავის სამოქმედო არეალში 244 ათასი აბონენტი ჰყავს, მათგან ქუთაისის წყალმომარაგების სერვისცენტრში - 67,8 ათასი, ანუ საერთო რაოდენობის 27 პროცენტი. მეორე ადგილზეა ქართლის სერვისცენტრი, რომელსაც 30,2 ათასი აბონენტი ჰყავს - ქუთაისთან შედარებით ორჯერ და მეტად ნაკლები.

იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია „ასა“ ათი წელიწადია აკვირდება და ახანალიზებს პრობლემებს, რომლებიც ამ მტიკვენიულ საკითხთან დაკავშირებით აწუხებს საერთოდ საქართველოს და მათ შორის ქუთაისს. მისი თვალთახედვის არეშია სისტემური, პროგრამული, ინფორმაციული, ფინანსებისა და კადრების, აბონენტებთან ურთიერთობის, სამოქალაქო საზოგადოებასთან დამოკიდებულების, სარეაბილიტაციო სამუშაოთა გამჭვირვალობისა და ეფექტურობის პრობლემები და დაგროვდა დიდძალი მასალა. მათგან მკითხველისა და განმკითხველთა ყურადღებას ამაჯობად განსაკუთრებით გავამახვილებთ მხოლოდ იმათზე, რომლებიც ადასტურებენ, რომ კომპანიას მოხმარებულებთან არაპარტნიორული დამოკიდებულება აქვს და ინვენსციებით მიღებული თანხების ხარჯვისას კონტროლის განხორციელების მიზნით

საზოგადოების ჩართულობაზე ფაქტობრივად უარს აცხადებს.

მაღლივი კორუპციის ბასაზირი

სასმელი წყლით მომარაგებისას ქუთაისი მდინარე რიონის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროების მიხედვით ორ ძირითად ნაწილად იყოფა. ისინი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან. მარჯვენა ნაწილი შედარებით მშვიდი, ერთგვაროვანი ვაკეა. ამ ტერიტორიაზე ბევრია მაღლივი კორპუსი, რაც მაღალკვალიფიციურ დამოკიდებულებას მოითხოვს, რადგან დღემდე გადაუწყვეტელი პრობლემაა შექცევადი და უფრო ზედა სართულები.

საქალაქო ქსელში არსებული ამ სართულის გამო მოსახლეობა იძულებულია შექმნას წყალმომარაგების საკუთარი, დამოუკიდებელი ქსელი. სარდაფში დგამენ ტუმბოს, სახლის სახურავზე კი - რეზერვუარს, რათა წყალი თვითდინებით მიიღონ. ეს, იმის გარდა, რომ დიდი რაოდენობის ზედმეტ დანახარჯს იწვევს, ეკოლოგიური თვალსაზრისითაც სერიოზული საფრთხის წინაპირობაა.

მრავალთა შორის ამგვარ მდგომარეობაში მყოფმა ერთ-ერთი მაღლივი კორპუსის, კერძოდ ნუცუბიძის ქუჩის №2 სახლის მცხოვრებლებმა ჯერ კიდევ 2012 წელს მიმართეს კომპანიას, რომ, რადგან წყალს მათ მიერვე დადგენილი რეზერვუარებიდან იღებენ და ეს დანახარჯი ზედმეტ ტვირთად აწევთ, წყლის საფასურის გამოწერისას გათვალისწინებული ყოფილიყო მათი მდგომარეობა.

სამწუხაროდ, მოსახლეობამ სასურველი პასუხი ვერ მიიღო და იძულებული გახდა, დახმარებისათვის ჩვეულების მოქმადობა.

ჩვენ ამ სახლის წარმომადგენლებთან ერთად მივაკითხეთ „სემეკთან“ არსებულ მოხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს. იგი თავის უშუალო უფეს, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას დაეკითხა: „მართალია ესო?“ და, აი, კომპანიის პასუხი (წერილის ნომერი 525/1, თარიღი 01/02 2013): „კომპანია ახორციელებს სასმელი წყლის უწყვეტ და უსაფრთხო წყალმომარაგებას სემეკის №32 დადგენილების შესაბამისად“.

ამ პასუხში რამდენი სიტყვაა, იმდენი სიცრუეა.

მისი ავტორ-შემდგენელი აშკარად გვაბრძანებს, როდესაც აცხადებს, რომ „კომპანია ახორციელებს უწყვეტ და უსაფრთხო მომარაგებას“.

სად, ვინ და როდის ნახა ქუთაისში უწყვეტი მომარაგება?

ქუთაისის უბნებს, მათ შორის რიონის მარჯვენა სანაპიროს, წყალი შეზღუდულად, ე.წ. გრაფიკითა აქვს, თანაც მხოლოდ რამდენიმე საათით. მაშ, რა უწყვეტობასა და, მით უფრო, რა უსაფრთხოებასა სუბარბ?

მას შემდეგ, რაც ქალაქში ლითონის მილები პლასტმასით შეცვალეს, სამუშაოთა უხარისხოდ შესრულების გამო, ერთდროულად ქუნა ხელახლა არაერთხელ გადაითხარა, რამაც არა მარტო ისედაც მწირი ბიუჯეტი დაახარადა, არამედ ცალკეულ უბნების იერსახესა და ქუჩების გამტარუნარიანობასაც დიდი ხნით დაასვა თავისი უარყოფითი დადი.

წყალმომარაგების ამპროსინდელი მდგომარეობა უსაფრთხო არც მოსახლეობის ჯანმრთელობის თვალსაზრისით არ არის. რადგან წყლის დინება ყოველდღე 17-18 საათითაა შეწყვეტილი. ამ პირობებში, დასაძლევად რომ ვარჯის გახდეს, აუცილებელია, ხელახლა ჩართვის შემდეგ წყალმა დიდხანს იდინოს. ეს კი საგრძობლად ზრდის გადასახდელ თანხას, რომელიც უამისოდაც ძალზე დიდია, თითოეული კუბური მეტრი თითქმის უცხოეთიდან ნაყიდი ამავე რაოდენობის ბუნებრივი გაზის ფასს უტოლდება.

ბუნებრივია, რომ დაუსაბუთებელმა პასუხმა მოსახლეობა ვერ დააკმაყოფილა და თავიანთი ინტერესების დაცვად ბრძოლა მაქორიტიარი დეპუტატის ბიუროს მეშვეობით განაგრძეს.

ბიურომ რამდენჯერმე მოუსმინა კომ-

პანიის წარმომადგენლებს და საკითხის სიღრმისეული შესწავლის შემდეგ შესაბამისი გაანგარიშებაც წარუდგინა, მაგრამ ადრესატის პასუხი ამაჯობადაც არაადეკვატური გამოდგა: „კომპანია არ არის უფლებამოსილი ერთპიროვნულად შეცვალოს წყლის ტარიფი“. (№ 755/1, თარიღი 19/11, 2013).

პასუხის გამოგზავნის თარიღსა და მის ნომერზე ყურადღებას შემთხვევით არც ამაჯობად ვამახვილებთ.

ვინ სთხოვდა კომპანიას ტარიფის შეცვლას?

მოსახლეობა მხოლოდ იმას მოითხოვდა, რომ თითოეული ინდივიდისათვის გადასახადის გამოწერისას გათვალისწინებული ყოფილიყო რეალური დანახარჯი.

მაქორიტიარი დეპუტატის ბიურომ ამაჯობად უშუალოდ „სემეკს“ მიმართა თხოვნით, გარკვეულიყო და აღედგინა სამართლიანობა.

ვნახოთ, რას უპასუხებს იგი არა მხოლოდ ნუცუბიძის ქუჩის №2 სახლის, არამედ ყველა მაღლივი შენობის იმ აბონენტებს, რომლებსაც იგივე პრობლემა აწუხებთ?!

ანაბარი მბეღამეც იცის, კომპანია - არა!

ინვესტიციების განხორციელებისას საზოგადოების ჩართულობაზე უარი მკაფიოდ დადასტურდა 2007-2010 წლებში განხორციელებული პროექტის შესრულებისას და ამ დამოკიდებულების უარყოფითი შედეგებს დღემდე ვიმკით.

2007 წელს ქუთაისის წყალმომარაგების სარეაბილიტაციო სამუშაოთა პროექტის ხორცშესახსმელად გამოიყო 12 მილიონ 585 ათას 140 ევრო, საიდანაც ამერიკის შეერთებული შტატებიდან „მილენიუმ ჩელენჯერის“ გრანტი შედგენდა 4 მილიონ 256 ათას 200 ევროს. ეს თანხა უნდა გაყოფილიყო ორ ნაწილად - ქსელის რეაბილიტაციისათვის 1749000 ევრო, და, მეორეს მხრივ, ინდივიდუალური მრიცხველებისათვის 2 მილიონ 317 ათას 200 ევრო, ხოლო საკანალიზაციო ღირებულებების შესაკეთებლად - 200 ათასი ევრო.

ჩვენმა ორგანიზაციამ - „ასამ“, უამრავი მოთხოვნისა და მცდელობის მიუხედავად, ვერც ქუთაისში, ვერც თბილისში და ვერც უშუალოდ ინვენსტორებისგან ფინანსური გეგმის საინჟინრო გადაწყვეტის ნახაზები ვერ მოიპოვა. ამის შედეგები კი ფრიად დამაფიქრებელია, რამეთუ მრავალთაგან თუნდაც ის რჩება გაურკვეველი, სად გაქრა და რას მოხმარდა კანალიზაციის ღირებულების ავარიული შეკეთებისათვის გათვალისწინებული 200 ათასი ევრო და, საერთოდ, რატომ მოხდა ეს სტატუსი ფინანსურ გეგმაში? ვინ შეუკვამა იგი და თუ აღნიშნული სამუშაო არ უნდა შესრულებულიყო, სად წავიდა საკმაოდ სოლიდური თანხა - 200 ათასი ევრო?

გაცხადებით მსხვილ „დღაგთან“ გვაქვს საქმე, როდესაც მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანების საკითხს თუნდაც ზერეკედ ვეცნობით.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საფინანსო გეგმა ითვალისწინებდა, რომ „მილენიუმ ჩელენჯერის“ ფინანსური უზრუნველყოფით 2 მილიონ 300 ათას ევროზე მეტი უნდა მოხმარებოდა უშუალოდ ქუთაისში ინდივიდუალური პროექტებით აშენებული სახლებისათვის მრიცხველების შექმნასა და დამონტაჟებას.

ვიდრე ეს იდეა პროგრამის სახეს მიიღებდა, ქალაქ ქუთაისის წყალმომარაგების საკითხები შეისწავლა სპეციალურად მოწვეულია უცხოურმა საკონსულტაციო კომპანიამ და განსაზღვრა პირობიტეტები, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველადი, აუცილებელი და სასწრაფოდ მოსაგვარებელი იყო აღრიცხვიანობა. კვლევისას გათვალისწინეს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა და დასაბუთდა, რომ სახელდობრ ქუთაისში, ეზოებში, ინდივიდუალური პროექტებით აშენებული სახლებისათვის 22 ათასამდე მრიცხველი შეეძინათ და დამონტაჟებინათ. მაგრამ სწორედ ამ დროს დაიწყო ის „სტრუქტურული რეგულირება“, რომელმაც ნისლის სქელი ფარდა ჩამოაფარა არც თუ მთლად

გასაგებ, უფრო ზუსტად, აშკარად საეჭვო კომბინაციებს. ქუთაისწყალკანალი ჯერ იმხანად შექმნილმა „დასავლეთის წყალმა“ შთანთქმა, შემდეგ კი, 2010 წელს „დასავლეთის წყალი“ „აღმოსავლეთის წყალთან“ ერთად - „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების“ კომპანიამ. ამ ევრო-წოდებულმა „სტრუქტურულმა რეგულირებამ“ ისეთი ქაოსი გამოიწვია საქართველოსა და და მათ შორის ქუთაისში, რომ მას შემდგომ დღემდე ვერავინ გაარკვია, სად წავიდა და რამდენად მიზანშეწონილად დაიხარჯა ამერიკელთა მიერ სახელდობრ რიონისპირა ქალაქისათვის ნაწილობრივ მილიონ 300 ათასზე მეტი ევრო, რაც გეგმის მიხედვით 24-საათიან უწყვეტ წყალმომარაგებასა და ქუთაისელთა გამრიცხველიანებას უნდა მოხმარებოდა?

თუ აშკარა კრიმინალს და ანგარების მიზნით ქალაქისათვის განკუთვნილი ნაწილობრივ თანხის დატაცების მცდელობას გამოვიცხავთ, ის მაინც არის სავარაუდო, რომ აშკარად დაირღვა „მილენიუმის“ საწუქრის მიზანი და კონკრეტული ადრესატისათვის გათვალისწინებული თანხა მთლიანად ქუთაისსა და ქუთათურებს, მათ 24-საათიან წყალმომარაგებასა და სოციალური პირობების გაუმჯობესებას კი არა, კომპანიის ბიზნესინტერესს - მოგების გაზრდას მოხმარდა.

იმ 21 ათასი მრიცხველიდან, რომლებიც „მილენიუმის“ პროგრამით მხოლოდ და მხოლოდ ქუთაისისთვის იყო შექმნილი და მოსახლეობისათვის უფასოდ უნდა დაეყენებინათ, უფასოდ დააყენეს 7840 ინდივიდუალური მრიცხველი, დანარჩენი 14 ათას 160 კი რატომღაც თავად მოხმარებლებს შეაძინეს და ყოველ კვანძზე მათი ამოქმედებისათვის თითოეულ ოჯახს 100 ლარი გადაახდევინეს.

ეს აღმაშფოთებელი თვითნებობა არ მოხდებოდა, რომ სახელმწიფო სტრუქტურებს, მათ შორის ადგილობრივ თვითმმართველობასა და „სემეკს“ მეტი ყურადღება გამოეჩინა საზოგადოებრივი დამკვირვებლების საგანგაშო სიგნალებისადმი. არადა, მათი ამგვარი პაიპარა დამოკიდებულების გამო ფრიად იზარაღეს როგორც ქუთაისში, ისე იმ ქუთათურებში, რომლებსაც სამადლოდ ნაწილობრივ თვალდახელშეა ააწანეს, თანაც თითოეულს ჯიბიდან დამატებით ამოაცადლეს 100-100 ლარიც. ეს კი ერთიანობაში საგრძობლად სოლიდური თანხაა - ერთი მილიონ 416 ათას ლარი.

თუ გაცილებით მეტი არა, არანაკლებ საჭირობორტო საკითხია 24-საათიანი წყალმომარაგება, რასაც დავეთვით ადამიანების მოედნის ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე, შადრევნების მიღმა გაკრული გიგანტური ბანერები დიდი დამაჯერებლობით გვირდებოდნენ ჯერ 2008-ში, შემდეგ - „მოკრძალებით ჩასწორებულ“ 2009-ში. არადა, 24-საათიანი წყალმომარაგება იმდენად აუხდენელი იცნება გამოდგა, რომ 13 მილიონამდე ევროსთან ერთად იმდროინდელი ბანერებით უკვალოდ გაქრა თითოეული ქუთათურის თვალსაწიერიდან.

გვინდა შევახსენოთ შესაბამის საკანონმდებლო და სამთავრობო უწყებებს, რომ თუ ძირეულად არ შეიცვალა დამოკიდებულება ჯემპარიტად დემოკრატიული პროცესებისადმი და ამიერიდან მაინც სათანადო ყურადღება დროულად არ მიაქცივს ხალხის ხმა, წინ წყალდა და უკან მეწყვრით ისევ გველოდება ის უფსკრული, რომელსაც თავი ძლივს დაავაწიეთ. ეს მით უფრო სათქმელია, რომ საფიქრალი ჯერ კიდევ ბევრი რჩება ჩვენს ქვეყანაში წყლის რესურსებით სხვევით გამოჩენულ, მაგრამ დღემდე მაინც წყალს დანატრებულ ქუთაისში.

ნახა ხელამი, იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია „ასა“-ს თავმჯდომარე



11 ათას ლარად გაყიდული აქის მთა და გარემო ეკოლოგიური კატასტროფის ზღვარზე

„გაზეთი ვერსია“ უკვე წერდა, რომ ჩონჩხი, ჩინელებთან ერთად, სამეგრელოში, სენაკის მუნიციპალიტეტში ცემენტის ქარხნის მშენებლობას იწყებს. ქარხანა ოფიციალურად უკვე გაიხსნა; უფრო სწორად, მშენებლობა დაიწყო, თორემ იმას, რაც სოფელ ნოსირში ვნახეთ, ქარხნის გახსნასთან საერთო არაფერი აქვს - 57 პა მიწის ფართობზე, რომელიც ცუხარ ჩონჩხის შვილის კომპანიას, პროგრამა „წარმოე საქართველოს“ ფარგლებში, მასზე დამატებული შენობა-ნაგებობებიანად 1 ლარად გადასცეს, ჯერ ქარხნის ჩანასახიც არ ჩანს.

დღევანდელი ჩვენი სტატიის მიზანი იმის გარკვევაა, რა გავლენას მოახდენს სოფელ ნოსირში ცემენტის ქარხნის მშენებლობა გარემოზე, დააყენებს თუ არა ეკოლოგიური პრობლემის წინაშე ადგილობრივ მოსახლეობას. გარემოზე ზემოქმედების შეფასება კი, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ახალი ანგარიშის ფონზე, რომლის თანახმად, პაერის დაბინძურებასთან დაკავშირებული სიკვდილიანობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი საქართველოში დაფიქსირდა.

ამიტომაცაა რომ მოსახლეობა სამთავრობო კომისიის შექმნასა და ალტერნატიულ ექსპერტიზას ითხოვს. იგივე მოთხოვნა აქვს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ხელმძღვანელ ზურაბ კვარაცხელიასაც. ბატონი ზურაბი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც განაშაფის ზარს შემოჰკრა და განაცხადა, რომ ნოსირში ცემენტის ქარხნის აშენება, კონტრანთთან კომპეტის საბაღოს გახსნა ნოქალაქებს დაახიანებს. თუმცა, ამაზე მოგვიანებით...

სამთავრობო კომისიის შექმნა და ალტერნატიული ექსპერტიზა ლოკალური და საუკეთესო გამოსავალი მართლაც იქნება, მით უმეტეს, რომ ამ პროექტში, არაერთი საეკო დეტალია; მაგალითად ის, რომ კულტურული ინფორმაციით, ჩონჩხს „ჩინური ოცნების კოშკი“ ამავე მთავრობის პირობებში ერთხელ უკვე დაუხვრებიან - დაახლოებით წელიწადნახევრის წინ, ჩვენი ინფორმაციით ამ საკითხმა მთავრობის ხსოლმაზე დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია - ნაციონალ ექსპერტიზის „ოცნების“ მთავრობამ უარი უთხრა ნოსირში ყოფილი რკინა-ბეტონის ქარხნისა და მიწის ნაკვეთის ერთ ლარად გადაცემასა და ამ ადგილას ცემენტის ქარხნის აშენებაზე. უარიდან დაახლოებით ერთ წელში, 2015 წლის 13 ოქტომბერს კი, მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, ხელი მოაწერა საქართველოს მთავრობის განკარგულებას, რომლის საფუძველზეც გარდაბარი მიყიდვის წესით, 1 ლარად, შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანია“ (ჩონჩხის შვილის კომპანია) ნოსირში ხსენებული მიწის ფართობი გადასცეს შენობა-ნაგებობებიანად. მაღე დადიანაშვილი გადადგა. რატომ მივიცვალა წახვალამდე რამდენიმე დღით ადრე მან პოზიცია? მთავრობის წარმომადგენლები საქმის კურსში არ ჩააყენეს, რა პრობლემები შეიძლება გამოეწვია სენაკში ცემენტის ქარხნის მშენებლობას, მთავარი აქცენტი იმაზე გაკეთდა, რომ ინვესტორი ფულს ჩადებდა, რაც ქვეყნის ბიუჯეტსაც წაადგებოდა და ადგილობრივებიც დასაქმდებოდნენ.

ღარიბაშვილს გადაწყვეტილების მიღებაში ალბათ ისიც დაეხმარა, რომ მანამდე ორი თვით ადრე, 2015 წლის 27 აგვისტოს, შპს „ქართული სამშენებლო მასალების კომპანიაზე“, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ უკვე ოფიციალურად იყო გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. საინტერესოა ის, რომ ლიცენზიას ხელს, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირი. ასე რომ, პასუხისმგებლობა ლიცენზიის გაცემაზე, კონკრეტულად ვის ეკისრება, გაურკვეველია.

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად, კანონის ფარგლებში, 2014 წლის 17 ნოემბერს, აუქციონი გაიმართა. ლოტის საწყისი ფასი 10 ათასი ლარი იყო. 6-საათიანი „ვაჭრობის“ შემდეგ კი, ლოტი 11 ათას ლარად გაიყიდა და ლიცენზიით სარგებლობის ვადა 20 წლით განისაზღვრა. ლიცენზიის გასაცემად აუქციონი

რომ უნდა ჩატარებულიყო, ეს უდავოა, თუმცა თვითონ პროცესი, ექსპერტებში ეჭვებს აჩენს. ეს თითქოს იმის დასტურია, რასაც წლებია კულუარებში მუდმივად ლაპარაკობენ - აუქციონებს ამ ქვეყანაში, უბრალოდ, ფორმალური დატვირთვა აქვს, თორემ, ისედაც ყველაფერი წინასწარ განსაზღვრულია. თუ ასე არ არის და თუ წინასწარ გარიგებასთან არ გვაქვს საქმე, მაშინ: რატომ გაგრძელდა აუქციონი მხოლოდ 6 საათი და რატომ არ გაიმართა სერიოზული ვაჭრობა?

გარემოს დაცვის სამინისტროსთან სხვა კითხვებიც დაგროვდება, რომელსაც გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ შემოგთავაზებთ და ამ პერიოდში იმასაც გავარკვევთ, ვინ აწერს ხელს ლიცენზიას და აუქციონის დასრულებამდე, ფასი მხოლოდ ერთი ბიჯით (1000 ლარი) დაიხარდა. თუ ვამბობთ, რომ კორტიანეთთან, გოლქელში კირქვის საბაღოს გახსნასა და ნოსირში ცემენტის ქარხნის მშენებლობაზე ნებართვის გაცემის ერთ-ერთი მიზეზი ქვეყანაში ინვესტიციის შემოდინება და ბიუჯეტის შევსებაა, რატომ არავენ იხრუნა იმაზე, აუქციონზეც, ლიცენზია მაქსიმალურ ფასად გაიყიდულიყო. ეს ის ლაბორინთია, რომელში გარკვევაც ამ ეტაპზე ჭირს. სამაგიეროდ, დღესაც ერთ-ერთი, რომ ღარიბაშვილის ხელმოწერით, „ოცნების“ მთავრობამ „მწვანე შუქი“ ჩონჩხს აუთო, ჩონჩხმა - ჩინელებს და ამ დროს, თითქმის არავის გახსენებია არც გარემო, არც ეკოლოგია, არც ადგილობრივი მოსახლეობა და არც ის, რომ ჯერ კიდევ კომუნისტებმა თქვეს ამ ადგილზე ცემენტის ქარხნის მშენებლობაზე უარი და ის კარიერიც, რომლიდანაც, ცემენტის მისაღებად საჭირო კირქვა ჩინელებმა ნოსირში უნდა ზიდონ, დაიკნინებოდნენ.

კომუნისტებს სერიოზული მიზეზი რომ არ ჰქონოდათ, მსგავს პროექტს არ გააჩერებდნენ. მიზეზების ძებნისას, „ვერსია“ ერთ საინტერესო ინფორმაციას წააწვდა - ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში, როცა ამავე ტერიტორიაზე კარიერის გახსნა იგეგმებოდა, სენაკის მუნიციპალიტეტს დამცველად გამოუჩნდა და პროექტს წინ აღუდგა წარმოშობით სოფელ კეის მკვირი, ტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო ლაბორატორიის ინჟინერ-ლაბორანტი ჯულიეტა ადამია. მისი შეუპოვარი ბრძოლის შედეგად პროცესში ჩართო ტაშკენტის ლაბორატორიაც, რომელმაც საბოლოოდ დადო დასკვნა: „ინფორმაციის მრავალფეროვნება და პაერის ტენიანობა ხელს უწყობს მდინარეთა ქსელების სისხირეს, რის გამოც ეკის მთა და მისი მიმდებარე ტერიტორია მდიდარია მიწისქვეშა წყლებითაც. აღსანიშნავია ასევე თერმული, მინერალური და კარსტული მტკნარი წყაროებიც... ეკის მთაც და მისი მიმდებარე ტერიტორიაც, ფაქტობრივად, დგას ტბაზე და ხელოვნურად, თუნდაც ერთი ლოდის ჩამოშლის შემთხვევაშიც კი, შეიძლება მთაზე ბუნებრივად უმართავი პროცესები დაიწყო, რაც არა მხოლოდ სენაკის რაიონს, არამედ საერთოდ კოლხეთის დაბლობსაც დაზარალებს.

„ვერსია“ შეეცადა, ჯულიეტა ადამიას დაეკავშირებოდა. არცთუ მარტივი ძიების შემდეგ, გავარკვიეთ, რომ ქალბატონი ჯულიეტა შეუძლოდ იმყოფება. მან ჩვენთან საუბარი ვერ შეძლო, თუმცა მისმა ახლობლებმა დაგვიდასტურეს, რომ ქალბატონი ჯულიეტა მართლაც თავგამოდებით იბრძოდა აღნიშნული პროექტის წინააღმდეგ, სწორედ მან ჩართო საქმეში ტაშკენტის ლაბორატორია, ამ უკანასკნელმა კი, მართლაც ასეთი დასკვნა დადო. ჩვენ უკვე გავაგზავნეთ ტაშკენტში ოფიციალური წერილები და იმედოვნებთ, უახლოეს მომავალში, ხელმისაწვდომი იქნება დოკუმენტი, რომელიც, ფიქტობით, საკმარისი საფუძველია იმისთვის, სამთავრობო კომისია შეიქმნას და სპეციალურად შეიქმნას, ხელახლა გამოიკვლიონ, ამ ტერიტორიაზე კირქვის მოპოვებამ რა ზემოქმედება შეიძლება მოახდინოს. ტაშკენტის ლაბორატორიის დასკვნის მოლოდინში, „ვერსია“ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსს, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პაატა გიორგაძეს დაუკავშირდა. იმის გარკვევა გვიწოდდა, წყლის რა მარაგია სენაკის მუნიციპალიტეტში და სოფელ კორტიანეთთან კირქვის საბაღოს გახსნამ, შეიძლება თუ არა გარკვეული პრობლემები შექმნას. ბატონი პაატას შეფასება, ფაქტობრივად, ტაშკენტის დასკვნის იდენტურია. პაატა გიორგაძე: „საქართველოში არსებული ბუნებრივი სასმელი წყლის მარაგები, რაოდენობრივადაც და თვისობრივადაც, უნიკალურია. ასეთი, 600-მეტრიან შრეებში,

— რამდენჯერაც გადის აფხაზურად, იმდენჯერაც გადის რუსულად. სამჯერ დღეში, დილით, შუადღეს და საღამოს.

— მარტო თქვენ აკეთებთ ამ ყველაფერს, თუ გეხმარებათ კიდევ ვინმე?

— მე და ესმა კოკოსკერია ერთად ვმუშაობთ. ადრე ვიყავით ოთხნი. ახლა

ორნი ვართ. მესამეც გვყავს, მაგრამ ის მესამე არ ღადის, იმიტომ, რომ კოლაჟებს გავდივართ მარტო. გვყავს ოპერატორი, მემონტაჟე, მთელი რედაქცია. რედაქციაში გარდა აფხაზურისა, არის ოსურ, სომხურ, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოშვება. ხუთენობანი, ძალიან უნიკალური რედაქცია გვაქვს. ხუთივე ენაზე გადის ყოველ დღე „მომამე“, მაგრამ იცით, სასურველი იქნებოდა, ფორმატი ცოტა სხვანაირი რომ ყოფილიყო.

— მაინც როგორი წარმოგიდგენიათ?

— უნდა გაკეთდეს პატარა სიუჟეტები, პატარა რეპორტაჟები. რაც ხდება საქართველოში, აქვთ მხარეს, უფრო მეტი ინფორმაცია რომ ქონდეთ... ის კი არა, რომ შეხვედრა იყო და ვიღაცა ვიღაცას შეხვდა, პარლამენტის სხდომა იყო. ეს იმდენად არ ინტერესებთ. 26 მაისს ჩამოვიყვანეთ რბი უფიამისი, ესეით რაღაცები რომ ხდება აქ, როგორი ცხოვრება არის, უნდა ვაჩვენოთ, რომ აქ ცოტა განსხვავებულია. 40-იანებს ახსოვთ ალბათ თბილისში რომ ჩამოდიოდნენ და რა იყო, მაგრამ იმის შემდეგ რა ცხოვრებაა აქ... შეიძლება სწავლაზე, მაგალითად გამოცდებს როგორ აბარებენ. ეს მიმანია, რომ უნდა იცოდნენ მეორე მხარეს. აქ არის უამრავი ექიმი, ვინც უანგაროდ ეხმარება. ჯერ ერთი რეფერალური პროგრამაც არის. დიდი სიამოვნებით ღებულობენ გუდაუთიდან, სოხუმიდან ჩამოსულებს. ამაზე შეიძლება ვაკეთდეს. იცით, ადამიანური, ბუნებრივი რაღაც უნდა იყოს. ნიუსი ნიუსია, მაგრამ ნიუსის მიღება შეიძლება ყველა ენაზე. ასეთი ჩანახატები და ცხოვრებაში რაც ხდება საქართველოში, ამაზე რომ ვაკეთდეს, კარგი იქნება. ვთქვათ, წიგნი ითარგმნა აფხაზურ ენაზე, რა წიგნია. ისინი გიჟდებიან, როცა გაიგებენ, რომ აქ რაღაც აფხაზურად გადაითარგმნა. ახლა ჩვენ ტრენინგებს ვატარებთ აფხაზური ენის მასწავლებლებისთვის. აი ვგეთი რაღაცები, რაც ცხოვრებას ეხება რომ სცოდნოდით, უკეთესი იქნებოდა.

— აღნიშნეთ, რომ სოხუმში უყურებენ თქვენს გამოშვებებს. რამდენად აქტიურია აფხაზეთში მაყურებელი, თუ გაქვთ ამაზე ინფორმაცია?

— მაგის თქმა მე ცოტა გამიჭირდება, მაგრამ როცა იციან რომ გადის, გადარბავენ და უყურებენ ასე მგონია. ვისაც აქვს ანტენები, ყველა უყურებს. ყველას აინტერესებს რა ხდება აქ. ხიდების დახურვას ცოტა მიძიდებ ღებულობენ ისინი, იმიტომ, რომ მაინც ურთიერთობა არის. ოფიციალურია თუ არაოფიციალური, ადამიანური ურთიერთობები არის და იქნება კიდევ. ეს შეიძლება ხმამაღლა არაფერ არ თქვას, მაგრამ გულში აწუხებთ, იმიტომ, რომ დემოტოა არ ქნას, მომაკვდავი იყოს და აქვთ არ გამოუშვან, საყიდლებზე ჩამოდიოდნენ... იცით, ეს ურთიერთობები არც შეწყვეტილა არასდროს და არც

შეწყდება, რაც არ უნდა მოხდეს. მე მიყვარს, რომ ობიექტურად მიუღებებიან ყველანაირ საკითხს, რაც ხდება საზღვარზე, რაც ხდება აქეთ, რაც ხდება იქით, ყველანაირი გამწვავების და გაბუქების გარეშე. იყოს გულახდილი და პირდაპირი საუბარი, უფრო კარგი იქნებოდა. ისინი ყოველთვის ამბობენ, რომ არაობიექტურ ინფორმაციას აწვდიან მათზე აქეთ. ჩვენც შეგვიძლია იგივე ვთქვათ, რომ იქით აწვდიან ცოტა სხვანაირ ინფორმაციას. მაგრამ ჩვენ ჩვენი უნდა გავაკეთოთ. სიტყვაზე ვამბობ, ვიღაცას რომ ფეხი გადაუბრუნდება და ამბობენ — კინადამ მოკვდა, ასეთი გაბუქებები ძალიან ცუდად მოქმედებს იქითა მხარეზე. მე აფხაზი ვარ და ვიცი, როგორ აწვებით თავიანთ თავმოყვარეობაზე, დამცირებელი ლაპარაკი... ამას თუ დაგანებდით თავს, მე მგონი ურთიერთობებისთვის უკეთესი იქნებოდა.

— ქართველი მხარე რასაც აკეთებს, თუნდაც აფხაზური ენის განვითარებისთვის, ეს აფხაზურ საზოგადოებაში აღიქმება, როგორ მიზანმიმართული პოლიტიკის ნაწილი და ფარისევლობა...

— თავიდან იყო ასეთი რაღაც, რომ ისინი ყველაფერს აკეთებენ, ოღონდ შეურთველეთ. მაგრამ რამდენი ხანია, რომ ეს გრძელდება და საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ მარტო ამისთვის არ კეთდება. ზუსტად იმიტომ კეთდება, რომ ინფორმაცია მიიღონ თავის საკუთარ ენაზე და ენის შემეცნებისთვის. შეიძლება არ ვთქვათ, რომ ძალიან მაღალ დონეზე არის, მაგრამ შეძლებისდაგვარად აქეთა მხარე აკეთებს ბევრ რამეს, იგივე ენის შენარჩუნებისთვის, იგივე ინფორმაციის მიწოდებისთვის. უფრო მეტიც გვინდა, მაგრამ აღარ გვაქვს იმის საშუალება. მე მაგალითად დიდი სიამოვნებით რომელიმე იქაურ სააგენტოს ვაუწყებავინდი, თუ ვააშუქებდნენ, ვთქვათ პატარა ჩანახატს. მაგრამ ჯერჯერობით არ ღებულობენ. ძმა ძმას ვერ დაკარგავს რაც არ უნდა იყოს. იომინ, მაგრამ მაინც ხომ ვერ დაკარგავ. მე ვიცი, რომ ჩვენ საბოლოოდ მთლად ჩახუტებულები არა, მაგრამ მაინც ერთად ვიქნებით მალე, ასე მგონია. გზა გაისწვება და ურთიერთობები უფრო კარგი იქნება.

— თქვენ ჩადიხართ პერიოდულად სოხუმში. იქაურ საზოგადოებაში პრობლემაა აფხაზური ენის ცოდნა. იქ რა ბერკეტი მუშაობს იმისთვის, რომ საკუთარი ენის შენარჩუნება შეძლონ? რამდენად ქმედითი და ეფექტურია ის?

— მე ვიცი, რომ იქ პროგრამა არის დამუშავებული, ახალი მიდგომა, რომ ყველა ბაღიდან დაწყებული, ყველა სკოლაში იყოს აფხაზური ენა პირველი. თუ შენი ენა არ იცი, ვერც დეპუტატად ავირჩევენ და ვერც პრეზიდენტად. მაგრამ, ეს ის დონე არ უნდა იყოს, რომ შენ გამოცდები ჩააბარებ. ინსტიტუტში, უნივერსიტეტში ვერ ჩააბარებენ ბავშვები, თუ ენას არ

ჩააბარებენ. მე ვფიქრობ, ეს თავისას გააკეთებს. ბოლობოლო სალაპარაკო ენას მაინც ისწავლიან. ადრე, ადრე კი არა ახლაც არ არის მიღებული, რომ აფხაზურად ილაპარაკონ. მე ვფიქრობ, ენა არ უნდა დაიკარგოს. თუ ენა დაიკარგა, შენ, როგორც ერთი, არ არსებობ. მე მგონი, მაგას მიხვდნენ უკვე.

— რომ ჩადიხართ აფხაზეთში, რა ენა გესმით უფრო ხშირად? საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე რა ენა დომინირებს?

— იცით როგორ არის? გუდაუთის მხარეს უფრო ლაპარაკობდნენ აფხაზურად. სოხუმი ურთულაა. აქეთა მხარეს უფრო აფხაზურ-მეგრულად.

— თქვენს აფხაზ კოლეგებთან თუ გისაუბრიათ მასალების გაცვლის საკითხზე? ამ კუთხით თანამშრომლობაზე?

— არა, არ უნდაო და არ მინდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავაგდო. სამსახურის დაკარგვა, რაღაცების შიში მაინც აქვთ. ამიტომაც მალავენ, რომ ქართველებთან ურთიერთობა აქვთ. ჩამოდიან, მიდიან, არ ამბობენ სად იყვნენ. ზოგი აქ სწავლობს და იქ გონიათ, რუსეთში სწავლობენ. არის ეს მომენტები. ერთმანეთს უმალავენ. მესმის მათი. ახლა დაიწყეს პურნალისტებმა, ზოგმა „ფეისბუქით“... ხურნაში მკვლევლობა რომ მოხდა, იმაზეც იყო ნათქვამი. ბევრი არა, მაგრამ მაინც იყო ნათქვამი, რომ ეს სირცხვილია, რომ ეს არ უნდა მომხდარიყო. ეს კი, მაგრამ ხალხს მაინც ეშინია.

— „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გარდა, სხვა ქართულმა ტელევიზიებმაც ხომ არ უნდა იზრუნონ იმაზე, რომ კონკრეტული გადაცემები მომზადდეს აფხაზურ ენაზე, ან რამე მსგავსი, რომ ამ ენის პოპულარიზებას შეუწყონ ხელი, ამაზე რას ფიქრობთ?

— ჩვენც ზუსტად ეს გვინდა, რომ აქეთა მხარე გააკეთოს ყველაფერი ამისთვის. აქაურმა ბავშვებმა, ახალგაზრდებმა არ იციან იქით ვინ არიან, ვინ ცხოვრობს. აფხაზეთის ომი იყო და გამოიქცნენ, არიან დევნილები. ეს იციან. უნდა იცოდნენ, თუ რა ხდება იქით. რა სილამაზეა, როგორი ქვეყანაა, რა ტერიტორიაა. შეიძლება პატარა ჩანახატების გაკეთება, რომ გადავთარგმნოთ, იქ რომ დაინახონ, რომ ეს ყველაფერი აფხაზურად კეთდება. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს შეიძლება იციან, მაგრამ ხომ იცით, როცა შენია, შენს ენაზე რაღაც გესმის, თარგმნილი წიგნი... ენას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. მე რომ დავინახავ, რომ ვიღაც ქართველი მეღაპარაკება აფხაზურად, ეს ჩემთვის რას ნიშნავს იცით? ინგლისელი რომ ლაპარაკობს ქართულად, ჩვენ ეს გვიხარია, რომ რამდენად პატივს ჩვენს ენას. ამაზეა ლაპარაკი. რაღვან ჩვენ ურთიერთობის დამყარება გვინდა, ასეთი რაღაცები უნდა ვაკეთდეს.

6060 თოლორია

„ფეხეულა-გატეულა“ ანუ დამიჭირე, თუ ბიჭი ხარ!

პროვოკატორის ბლოგი



რა კარგი და სასიამოვნო კვირა გავატარეთ! ჯერ იყო და მატარებელი გაეტია გვირაბში, მერე შეკვეთილის 200-მილიონიანი „არენა“ ანუ ბიძინა სახელმწიფოს და სულ ბოლოს კიდევ „ცენტრ პოინტის“ ხალხს მიხედეს მგონი.

გასაოცარი ისაა, რომ ერთმა კაცმა — ვაშაძემ თქვა, ვე მატარებელი ვერ გაეტევა გვირაბშიო და მთელი სახელმწიფო აპარატი, შტაბიანი-უშტაბოები „მილიმეტრეკებით“ ზომავდნენ გვირაბსა და მატარებელსაც. ბოლოს, წიფის გვირაბს გატეულა შეარქვეს და თავად ამ სახელგანთქმულ მატარებელს — შეტეულა. თქვე მამაცხინებულებო, მატარებლის გატევა-ვერგატევაზე მეტი საქმე არა გაქვთ?

ამდენი საქმეა გამოსაძიებელი, კინაღამ მამუკა დლონტა „რუსთავი 2“-ის მოლოდინაზე რეჟოლუცია თუ აჯანყება დაიწყო და სრულიად „საქოცეთი“ გვირაბში გამოტეულ მატარებელს შეხარის. კარგია, რომ გაეტია, მაგრამ ბატონმა სესიაშვილმა რომ თქვა, ჩვენ სად გვაქვს მაგის ფუფუნება, სამართლიანობის აღსადგენად ფულები ვხარჯოთო, ხომ გაიგონეთ? „ჩემი ინ ჯორჯიაზე“ კარგად აფრიალეთ ფულები?!

უმაღლესი ვერ დაინახავენ, მაგრამ ბევრმა დაინახა ეს „შავი ზღვის არენა“. თავიდან კი იძახდნენ „ნაციონალები“. ეს ძვირი დაუჯდება ქვეყანას, რა საჩუქრები ეგ იყო, მერე კი დააჭირეს ენას კიბლი, რომ გაიგეს, მიშასაც „ვეასებოდა“ ეს პროექტით, მაგრამ პირიდან გამოსულ სიტყვას ისევე ვერ შეაკავებ, როგორც ხელით გასროლილ ქვას! მაქვს კითხვა „ნაცებთან“ თუ გაქვთ დათვლილი, რა გვიჯდებაოდა მიშას შენახვა 9 წელი? საკმაოდ ძვირი! მაშ, რატომ მაშინ არ იძახდით, მიშა მაგარი კი არა, ძვირიაო?

რაღაც მეჭკვება, რჩეულიშვილებს მარტო ჰქონდეთ შეჭმული საბრალო ხალხის ფული! ეგეც იმ საკმაოდ „პეირში“ ხომ არ იხარჯებოდა ნეტავ? ერთხელ მაია

რჩეულიშვილისა ტელეკრანზე გვამცნობდა, ფული მომპარეს კაი ბლომად და ვიცინეთ. ალბათ იმიტომ იცინოდა ქართული სამშენებლო ბიზნესის დედოფალი, რომ ის „კაპიკები“ იყო იმასთან შედარებით, რაც მოსახლეობას აწაპნა!

გაგიკვირდებათ და რჩეულიშვილების ფონზე გუბაზ ლევანინიც კი ანგელოზი გამოჩნდა! ამ უკანასკნელს მილიონი უნდოდა და ტუმი კიდევ, რომ ჩამოიყვანეთ ეს ხმამოყანალებული მომღერლები, იმ 30 მილიონიდან 10 ჩემთვის მოგეცათო! არ მოგეცემდნენ, ჩემო ვახო! სადღაც ვიღაცის ათი ათასზე ხელი წაიცვდათ, 10 მილიონს სულ ცოლსა და ცოლისდას ჩააყლაპებდი და ბინებს არ მისცემდით სულგამწარებულ ხალხს! ეს თქვენი ვაჟიც რომ დასცინის ქართველ ძაღვანებს, — თუ ბიჭი ხარ, დამიჭირეთო, რომ დაიჭირონ, ვირის აბანოში შესმულს პოლიტიკურ სამრეულს კი არა, საპირვსაც დაადებენ! ცაღკე თქვენი რძალია ცოლი, ქმრის დეუნისა და დაჭერის მოლოდინში რამე არ დაეპართოს!

დებ კერვალიშვილებსა და ტუის კი მონღოლებით პოლიტიკაში წასვლა, მაგრამ ამ ჩვენს ბიძინას არენაზე გამოუშვია სა-

ამოძიებო ჯგუფი და ახლა პოლიტიკაში შესვლის გზა გვეკეტებაო! თუ არ მეშლება, რჩეულიშვილი პარლამენტის ვიცე-სპიკერიც იყო და მისი გაკეთებული მხოლოდ ის მახსოვს (თუ სწორად მახსოვს), მცოვან ნათამეს ბორჯომი რომ გადაასხა თავზე პარლამენტში.

P.S. ბიძინას ჰკითხეს, — ამხელა დასრულებული პროექტი მართლა „ნაცების“ გულის გასახეთქად აჩუქეთ სახელმწიფოსო?

— არა, ვანესა მეი და კიდევ ბევრი ჩამოგვყავს, ქართველ ხალხს უნდა მოვასმენინოთ კარგი მუსიკოსების ნაშრომებით.

— კი მაგრამ, რაღა შეკვეთილში, თბილისში ხო გვაქვს ფილარმონია, იქ ვერ მოისმენენო?

— მანდ, ახლოს მიშას დადგმული ველოსიპედის ძეგლია და სამტრედიიდან ჩამოსულ ველოსიპედის მოყვარულებს სულ ავიწყდებათ ფილარმონია, მისცვიფებიან და უყურებენ მიშას „არქიტექტურას“, აგერ, სამტრედიელი კახი კალამეც ძლივს გადაეჩვია მანდ საათობით დგომასო!

უცხო სიტყვათა კოლხური წარმოთქმა

(გაგრძელება წინა ნომრიდან)

რაც შეეხება სიტყვა *Natura*-ს პირველ მნიშვნელობას (დაბადება), რომელიც მომდინარეობს სიტყვიდან *gnascor*, ხოლო რაც შეეხება მნიშვნელობას „ბუნება“, „სამყარო“ აქ უკვე გამოვიყენეთ მეორე მეგრული სიტყვა „ტურინი“, რაც ნიშნავს გაფრენას, ფრენას, ხოლო „ნატურინა“ ნიშნავს ნაფრენს, ფრენილს, იმას, რაც ფრენაშია, მართლაც ეს ბუნება, ეს სამყარო მუდმივად ფრენაშია.

ეს ერთი მხრივ. მეორეს მხრივ, თუ სიტყვა *nascor*-ის არქაული ფორმა *gnascor*-ია, ასევე უნდა ვივა-რავლოთ *Natura*-ს არქაულ ფორმად განტუ-რა, რომელიც შეიძლება დაუკავშიროთ დღეისათვის მივიწყებულ მეგრულ სიტყვას „გენათურა“-ს, რაც ნიშნავს განათებულს. მოვიყვანოთ ამონარიდი ბიბლიის (დაბადე-ბის) შესავალიდან:

თავი პირველი

1. თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა;
2. მიწა იყო უსახო და უდაბური, ბნელი იყო უფსკრულზე და სული ღვთისა იძვრო-და წყლებს ზემოთ;
3. თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი;
4. დაინახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო და გაჰყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი;
5. ნათელს ღმერთმა უწოდა ღვთა და ბნელს უწოდა ღამე, იყო საღამო იყო ღილა - პირველი ღვთა.

ღმერთმა პირველსავე დღეს გაანათა ქვეყანა და პირველსავე დღიდან იყო ქვეყანა განათებული (გენათურა), ესე იგი ეს ბუნება, ეს სამყარო განათებულია ღმერთის მიერ მისი შექმნის პირველსავე დღიდან. აქედანვე ხდება სამყაროს დაბადე-ბა. ყველა ეს სიტყვა განათებულია, დაბადე-ბა, ბუნება, სამყარო და ა.შ. თავს იყრის ლათინურ *Natura*-ში, რომელიც, როგორც დავინახეთ, თავის მხრივ გამომდინარეობს და იხსნება კოლხური სიტყვიდან, რის გამოც ის კოლხურ სამყაროს უნდა მი-ვაკუთვნოს და რადგანაც ბიბლია სამ-ყაროს განათებით იწყება, ბიბლიის (დაბადე-ბის) პირველივე სტრიქონები კოლხი ქუ-რუმების შექმნილად უნდა ჩაითვალოს.

ნეკროსი (*nekros*) - ბერძნულ ენაზე ნიშნავს გვამს, მკვდარს, მოკლულს, გარ-დაცვლილს. ყველა სათავის ცნობილია სიტყვები: ნეკროზი, ნეკროლოგი, ნეკროპოლი და ა.შ.

მეგრულში არსებობს ზმნა ნქირაფა (ნქირა-ფა), რაც ნიშნავს - გაქარვება, გაქრობა, გაყინვა. ნქირაფილი-გამქრალი, გაქარვებული, გაყინული. ამ ორი სიტყვის (ნეკროს და ნქირა-ფა) ფუძეები აშკარად იდენტურია, ხოლო რაც შეეხება ზმნის ნქირა-ფას მნიშვნელობებს, ის ზუსტად გამოხატავს გარდაცვლილი ადამიანის მდ-გომარეობას, რადგანაც სული მისი ქრება, ხოლო სხეული იყინება. ამიტომ ამ ზმნის (ნქირაფა) ორ ასეთ განსხვავებულ მნიშვნელობას (გაქრობა, გაყინვა) აერ-თიანებს ბერძნული ნეკროსი, საიდანაც ცხადი ხდება თუ რატომ აქვს ამ ზმნას ასეთი განსხვავებული მნიშვნელობები, ისე, კი ვფიქრობთ, რომ ნქირაფას სიკვდილის, გარდაცვალების მნიშვნელობაც ექნებოდა, რაც შემოინახა ბერძნულმა.

ყოველივე ზემოთ თქმულიდან აშკარაა, რომ ბერძნული-ნეკროსი წარმოსდგება კოლხური ზმნა ნქირა-ფა-დან და თავის მხრივ, ეს სიტყვა (ნეკროსი) იძლევა კოლხ-ური ზმნის უკეთესად გააზრების საშუალე-ბას.

ნიანგი - დიდი ზომის ქვეწარმავალი ცხოველი ხელიკისებრთა ოჯახისა, ცხ-ოვრობს ტროპიკულ ქვეყნებში. და რატომ მაინც (და მაინც ნიანგი, როგორც ცნობილია, ნიანგებს ენა არ გააჩნიათ და აქედან გამომდინარე გაგვიჩნდა აზრი, რომ ხომ არ გამომდინარეობს ამ ცხოველის ქარ-თული სახელწოდება ფრაზიდან „ნიანა-გა“, რაც ნიშნავს „უენო-ს (მაგალითად: ტვინვა - უტვინო, და უნვა - ყრუ და ა.შ.). ასეთ-ნაირი ეტიმოლოგია ამ სიტყვისა სავსებით სავარაუდოა, მითუმეტეს, რომ სხვაგვარი ახსნა ამ სიტყვისა ჩვენ არ შეგვიძლება.

ახლა რაც შეეხება ამ სიტყვის რუსულ შესატყვისს *крокодил*, რომელიც ბევრს რუსულად პგონია, სინამდვილეში კი მომ-დინარეობს ბერძნული *crocodeilos*-იდან, საიდანაც შევიდა ლათინურში, როგორც *crocodilus*, აქედან კი ინგლისურში, რო-

გორც *crocodile*, რუსულში *крокодил* და ა.შ.

ბერძნული *crocodeilos* იშლება ორ ნაწ-ილად *croco* და *deilos* საიდანაც მეორე ნაწილი *deilos* ბერძნულად ნიშნავს: მშიშ-არას, საცოდავს, უბედურს, საზიზღარს. რაც უნდა მივიჩნიოთ ნიანგის ეპითეტებად, ხოლო პირველი ნაწილი *croco* ჩვენთვის გაუგებარი დარჩა მანამ, სანამ არ გაგ-ვახსენდა მეგრული კიროკუა (კიროკ-უა) და კიროკილი, რაც დახუჭუჭება, დაგრეხასა და ხუჭუჭს, დაგრეხილს ნიშნავს. სწორედ ღმერთი ტანი და თუ ეს ეტიმოლოგია გამართლებია, მაშინ *crocodeilos* აღმოჩნდება ნახევრად კოლხური წარმოთქმის სიტყ-ვად.

ოლიმპია - ძვ. საბერძნეთის წმინდა მიწა-წყალი (ა. გელოვანი „მითოლოგიური ლექსიკონი“, გვ. 370), ეროვნული სამ-ლოცველო და იქ აღმართული ზევისის საკულტო ტაძარი, სადაც ოლიმპიური თამაშობანი იმართებოდა (მთა ოლიმპო კი ჩრდ-ში იყო, მაკედონიის საზღვართან).

ოლიმპია ზოგჯერ ოლიმპიულ ღმერთთა სამყოფელი, მთა ოლიმპოს ძირას ჰგონია, რაც გაუგებრობაა - არც ისაა სწორი, ქალაქად რომ თვლიან, ოლიმპია არასოდეს არ ყოფილა ქალაქი, იყო სატაძრო და სასაპარეზო ადგილი. განსაკუთრებით მიღებული იყო ცხენოსნობა, ეტლით სრ-ბოლა, ხტომა, ბადროს ტყორცნა, შუბოსნობა, სიმძიმის აწევა, მუსიკალური და პოეტური პაექრობა, მუსიკური და სხვა. პირველი ოლიმპიადის დადგენილ თარიღად ითვლება ძვ. წ. 776 წ.

თეთი სიტყვა ოლიმპია (*Olympia*) გან-მარტებული არ არის, ხოლო სიტყვასთან ოლიმპო *Olympos*, (გარაუდით - „მთა“) მო-ცემულია მისი სავარაუდო განმარტება.

ჩვენს აზრით, სიტყვა ოლიმპია ეტი-მოლოგიურად დაკავშირებულია კოლხურ (მეგრულ-ლაზურ) „ოლაფე“-სთან, რაც „სათამაშოს“ ნიშნავს და რაშიც ლინგვის-ტურად შეუძლებელი არაფერია. მართლაც ის თავიდანვე სათამაშო, სასაპარეზო ადგ-ილს წარმოადგენდა. ისე რომ, გამოთქმა „ოლიმპიური თამაშობანი“ გამოდის ტავტოლოგია (სათამაშო თამაშობანი). ჩვენს ვარაუდს ამართლებს ძველი თქ-მულება, რომელიც ჩაწერილია კურტ იოახ-იმ შარენგელის მიერ. (ცნობილი გერმანელი ბუნებისმეტყველი, ბოტანიკოსი, მედიცინის ისტორიკოსი (1766-1831), ავტორი მრავალი შრომის, ჩვენთვის საყურადღებოა მისი ხუთტომიანი ნაშრომი „სამკურნალო ხელოვნების პრაგმატული ისტორიის ცდა“ (1792-1803), რომელიც კოლხური მედიცინის ისტორიის იწყება. სწორედ მის შესავალში მე-7 პუნქტში ვკითხულობთ: 7 პრიმითეს და დედამიძის (ახიას - ნ.კ.) გარდა კოლხები თავიანთი სცემდნენ პერაკლეს, რომელმაც იხსნა პრიმითე, სწეულებისაგან ტანჯული ქვეყნის მცველი და მფარველი, სხვა გვიანდელი თქმულებით, ფორისე, ანუ ბაქოსი ინდოეთიდან კავკასიის, ფრიგი-ის და ლიდიის გავლით საბერძნეთში ჩავიდა და დახვეწილი, კავკასიური ღმერ-თების თავიანთსცემა, ოლიმპიურ ასპარე-ზობებთან ერთად, პელეონესზე გავრცელ-და“.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ შარენგელის მიერ ჩაწერილი თქმულება ზურგს უმაგრებს ჩვენს ეტიმოლოგიას და პირიქით, ჩვენთვის ეტიმოლოგია უფრო რეალურს ხდის ამ თქმულებას.

ორფეუსი - ვაგრესა და კალიოპეს ძე, ღვთაებრივი მომღერალი, არგონავტი, ის იყო ერთგული შეყვარებული და თვითონაც უმღეროდა სიყვარულს. „Yorofa“ მეგრულად ნიშნავს სიყვარულს. სწორედ ეს სიტყვა (*Yorofa*) პირველი „Y“ ბგერის დაკარგვით ზის ფუძედ სიტყვა „ორფე“-სში. ამავე ფუძისაა სიტყვა „ვეროპა“, რომელიც იყო ზევისის სატრფო (- ორფი-ილი) და რომელ-მაც სახელი მიაკუთვნა ვეროპის კონტი-ნენტს.

აი, რას წერს ზვიად გამსახურდია ორ-ფეუსის შესახებ თავის წიგნში „საქართვე-ლის სულიერი მისისა“ (თბილისი. 1990, გვ. 17, 18);

„ამავე დროს, ორფეუსის შესახებ მითიც მოგვითხრობს, რომ ორფეუსის მთავარი მიზანი იყო პელაზგთა წინაპრების კულტის აღორძინება, ორფეუსი წარმოშობით პელაზ-გია, ძე ვაგრისა (ორფეუსის მამის სახელი, სხვათა შორის, პირდაპირ ემთხვევა კოლხ-ეთის სახელს ვერისი-ვგრი). მისი მიზანი იყო აღორძინება იმ პელაზგური კულ-

ტურისა, რომელიც ელინურ პერიოდში გადაგვარდა და დაკნინდა“.

ბატონმა ზვიადმა ალბათ, ვერ შეამჩნა თვით ორფეუსის სახელის კოლხური წარ-მოთქმობა, თორემ ამახაც აუცილებლად აღნიშნავდა.

ორფეუსთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე ორფიკული არგონავტიკის არსე-ბობა. მოვიყვანოთ ამონარიდი ელენე ქურ-დაძის წიგნიდან „ოქროს საწმისი, როგორც ძველი რუკა და პურზე დამწერლობა“ (გამომცემლობა „სანი“, 2004, გვ.128): „ორ-ფიკული არგონავტიკა“ - დაქტილური პეგზამეტრით შესრულებული პოემა, რომელიც ფსევდო ორფეუსის სახელით არის ცნობილი. ნაწარმოები დაკავშირე-ბულია ანტიკურ საბერძნეთში გავრცელე-ბულ ორფიკულ მიმდინარეობასთან, რომელ-იც ძვ.წ. VI ს. წარმოშვა და საერთოდ მისტიკურ ხასიათს ატარებდა. XIX საუკუნემდე პოემის ავტორობას თრაკიელების ლეგენდარულ პოეტს და მომღერალს ორფეუსს მიაწერდნენ. (ამ ნაწარმოების მთავარ გმირადაც ორფეუსი გვევლინება, სწორედ იგი ჩაატარებს მაგურ კულტმსახურებას, რისი საშუალებითაც არგონავტები შესძლებენ საწმისთან მი-ახლოებას, ასევე იგი აძინებს თავისი პანგების გველეშაპს) ნაწარმოები იმითაც არის საინტერესო, რომ მასში გადმოცემუ-ლია ორფიკული კოსმოგონია. პოემა ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული ორფიკულ მისტიკურებთან“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან შეი-ძლება დავასკვნათ, რომ არგონავტიკის პე-რიოდიდან მოყოლებული (და ალბათ მან-ამდეც), არა აქვს მნიშვნელობა მთავარი მოქმედი გმირი იაზონი (სხვათა შორის ზოგი ვერსიით იაზონიც პელაზგად მოიაზრება) იქნებოდა. თუ ორფეუსი, ხმელთაშუა და შვი ზღვის აუზი მონათა-სავე კოლხური ტომებით იყო დასახლე-ბული, რომლის ერთ-ერთი დამადასტურებელ არგუმენტს ორფეუსის ჩვენთვის ეტი-მოლოგიაც წარმოადგენს.

ონოპინტრე - ნადირთა მწვემისი, მხეცთა პატრონი, ნახევრად ღმერთი, ბერძენთა პანისა და ლათინთა ფაუნის მსგავსი.

ონი ქართულად ნიშნავს ვაცს. ონის მეორენაირი ფორმა არის ვანი („ვა“ მარ-ცვლის ქართული ფონეტიკის კანონების მიხედვით, „ო“-ნად ქცევა, მაგალითად, „გოლა“ - „გვალა“. მთა, „ხორა“ - „ხვარა“ ქანალი, „თოლა“ - „თვალა“ ა.შ.) ძველ საქართველოში გავრცელებული საკუთარი სახელი „ვანი“ სწორედ ამ ძირისაა, ასევე მიიღება სამეგრელოში გავრცელებული მამაკაცის სახელიდან „გვანი“, დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სახელი „გონი“.

„ონოკონი“ ქართულად ნიშნავს „ვაც-კაცს“ ზღაპრულ არსებას, ღვთაებას, რომ-ლის სხეულის ერთი ნაწილი მამალი თხ-ისაა (ონი), ხოლო მეორე კი ადამიანისა ს ჰგავს.

სიტყვა „ონოპინტრე“ პირველი შემად-გენელი ნაწილი „ონო“-ც იგივე მნიშვნელო-ბის უნდა იყოს და ნიშნავს მამალ თხას, ანუ ვაცს, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს ამ სიტყვის მეორე ნაწილი „პინტრე“.

სვამს რა ამ კითხვას, ი.ჯავახიშვილი („ქართული ენის ისტორია“ წიგნი I, 1928, გვ. 81) იქვე განაგრძობს.

„უნებლიედ გვაგონდება ბერძნული მი-თოლოგიის ღვთაება „პან“, „პან“-ის მნიშ-ნელობის შესახებ სხვადასხვა თეორიები არსებობს, მთავან რომერს საუკეთესოდ ის მიაჩნია, რომელიც „პან“-ს პა-ონ-ისაგან წარმომდგარად სთვლის ვითარცა მწვემის აღმნიშვნელი იყო.

თუ „პანი“ მწვემის ნიშნავდა, „ონოპინ-ტრე“-ც ხომ „ნადირთ მწვემს“-დ იწოდე-ბოდა. მაგრამ „პან“ და „პინტრე“-ს ერთ-მანეთთან დაკავშირება ძველია და ამ საკითხს ჯერ კიდევ გულდასმით კვლევა-ძიება სჭირდება, რომ „პინტრე“-ს უცდომელი ეტიმოლოგიის წამოყენება შესაძლებელი იყოს“.

„ონოპინტრე“ საქართველოში (მე-X ს-ში) ადამიანის საკუთარ სახელადაც ყოფი-ლა: ტაოს განთქმულ მფლობელს დავით დიდ კურაპალატს 998 წელს მამლანის წინააღმდეგ გაუზავნილი ჯარის უფროსად დაუნიშნავს გაბრიელი ონოპინტრეს ძე. ეს გარემოება უკვე ონოპინტრეს მრავალ-საუკუნოვან ხნიერებას ამტკიცებს“ (იქვე გვ. 79).

იქვე ჯავახიშვილი ამბობს, რომ ონოპინ-ტრე, ვითარცა ნადირთ მფარველი ხვთაება,

რასაკვირველია, ქრისტიანობის კი არა, არამედ წარმართობის ხანის სამყაროს ნაშთია, და ამიტომ ამ სახელის აგებულო-ბისა და მნიშვნელობის გამოკვლევა უეჭველია მეტად სასურველი უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, სიტყვა „ონოპინტრე“ ასე უნდა დაიშალოს - ონო-პატონ-რე (ონო - ბატონია). აქ ადგილი აქვს „ნ“ და „ტ“ ბგერების მეტათეზისს, რაც ამ შემთხვევაში ბუნებრივი სჩანს.

აქედან გამომდინარე გასაგები ხდება ადამიანის საკუთარ სახელად მოხსენიებუ-ლი „ონოპინტრეს“ მნიშვნელობა. ის ონო (ეს სიტყვა გარდა იმისა, რომ მამალ თხას ნიშნავს, სამეგრელოში ბოლო ხანებამდე გავრცელებული მამაკაცის სახელი იყო) ბატონი ყოფილა.

ონოპინტრე იგივე ონოკონია. მას წელს ზემოთ ადამიანის ფორმა აქვს, ხოლო წელს ქვემოთ ვაცისა. ამიტომ ის ისეთივე სახით უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ონოკონი ანუ ბერძნული „პან“-ი, მითუმეტეს, რომ, როგორც ვაგრესა, პინტრე ბატონს ნიშნავს.

რაც შეეხება ღვთაება „პან“-ს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის შეიძლება „პა-ონ“-ის-აგან იყოს მიღებული. ხომ არ არის ეს სიტყვა პატონის შეკვიცილი ფორმა, მი-თუმეტეს რომ პატონი (ბატონი), რაღაც აზრით მისი საბატონოს მწვემსადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ. გარდა ამისა, სიტყვა „პან“-ი ძველ პოლონურში, უკრაინულში და ბელორუსულში სწორედ ბატონს ნიშ-ნავდა.

ღვთაება პანიდანა გამოთქმა „პანიკური შიში“ ანუ ზარი, ელდა, რაც ეუფლება ცალკეულ ვინმეს ან მთელ ჯგუფს, ქალაქს, არმიას.

სკუა - მეგრულად ნიშნავს შვილს. გი-ნოსკუაფა (გინო-სკუა-ფა) კი ნიშნავს გადაფსკვნას, მამაკაცისა და დედაკაცის გადაფსკვნით მიიღება სკუა (შვილი). ან კიდევ ემბრიონი დედასთან არის ჭიპით (ჭიჭე პიჯით - პატარა პირით) გადაფ-სკვნილი (გინოსკუაფილი) და აქედან „სკუა“. აქედან კიდევ სკი, სკირი და სხვა. რატომღაც თვლიან ბერძნულიდან მომდ-ინარედ, რაც ჩვენი აზრით, არასწორია. კიდევ მეტი თვალსაჩინოებისათვის აქვე მოვიტანთ ამონარიდს (მის ქართულ თარგმანს) ეპისკოპოს კირიონის წიგნიდან „ივერიის კულტურული როლი რუსეთის ისტორიაში“ გვ. 132: „ქალაქ ხარკოვში ჩატარებულ მე-XII არქეოლოგიურ ყრილობაზე (1902 წ.) ბატონმა ლობაჩინსკიმ გააკეთა მოხსენება რუსული ენის სუ-ფიქსების „სკ“ და „კო“-ს წარმოშობის შესახებ, როგორც ერთ-ერთი ქართველური ენის, მეგრულის გავლენის შედეგი. სუფიქსი „სკ“ მეგრულ ენაში არსებობს, როგორც დამოუკიდებელი სიტყვა „სკუა“ და ნიშნავს შვილს (ვაჟიშვილს), მაგრამ ის გამოიყენება ასევე წარმოთქმის აღსანიშნავად, რო-გორც შემადგენელი ნაწილი რთული სიტყვის. მაგალითად: მეგრული „ილ-იაშსკუა“ (ილიას შვილი) რუსულად იქნება „ილინსკი“.

იგივე ფუძიდან უნდა მომდინარეობდეს სიტყვა სკვამი (სკუამი), რაც შეიძლება ითარგმნოს, როგორც „შვილიანი“, მაგრამ სკვამი მეგრულში ნიშნავს ღამაზს, ე.ი. ღამაზი და შვილიანი თითქმის ომონიმები გამოდიან, ეს ხდება იმიტომ, რომ შვილ-იანობა (რაც პირველ რიგში, ასოცირდება დედა-შვილობასთან) სიცოცხლის გაგრძელებასთან, კაცობრიობის უკვდავე-ბასთან, და ბოლოს სიღამაზესთან (მარამი ყრმა იესოთი ხელში) არის დაკავშირებუ-ლი, ხოლო თვით სიტყვა „ღამაზი“ უნდა ნიშნავდეს ღამა-ზი (ჭეშმარიტი - მე-ღამაზი).

რაც შეეხება ამ სიტყვის (სკუა) ბერძნული ენიდან მომდინარეობას, ჩვენ ბერძნული ენის ლექსიკონებში მსგავსი აგებულების სიტყვას ვერ მოვაკვლიეთ, მა-გრამ თუ მსგავსი რამ არსებობს, ის, რა თქმა უნდა, კოლხურიდან იქნება ნასესხები, რადგან, როგორც ჩვენი ეტიმოლოგიიდან სჩანს, ის შუმი კოლხური სიტყვაა.

Тулинь - ძველი რუსული (ზოგადად, სლავიანური) სიტყვაა და ნიშნავს დახურ-ვას, დაფარებას; დაფარვას, დამალვას, შენახ-ვა, როგორც ეს მოცემულია მ. ფასმერის ლექსიკონში (მ. ფასმერი „რუსული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ტომი IV, გ. 117).

“ვასუფთავებ ეკლესიის იატაკს. ჩემი შეხედულებით, ესეც კულტურაა” სვანეთში საცხოვრებლად დარჩენილი რუსი ფსიქოლოგის უჩვეულო ყოფა



რუსი ფსიქოლოგი ელისაბედ ჟუდროს ის ადამიანია, რომლის გაცნობამ და მოსახრებებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და მომინდა, სხვებისთვისაც გამეცნო. მან წარმატებული ფსიქოთერაპევტის კარიერა და კომფორტული მოსკოვური ცხოვრება მიატოვა და არც ისე ცოტა ხანია, სვანეთში ცხოვრობს.

— რა იყო იქამდე, სანამ სვანეთში აღმოჩნდებოდით?

— მოსკოვში დავიბადე და გავიზარდე. სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე, ბიოლოგიის ფაკულტეტი. მეორე ინსტიტუტში ჩავაბარე “სოციალური ფსიქოლოგიის” განხრით. კიდევ დიდხანს ვსწავლობდი, რომ გავმხდარიყავი ფსიქოთერაპევტი, სტუდენტობის დროს მთარგმნელად ვმუშაობდი, ვასწავლიდი — უფრო შემოსავლისთვის. ბევრს ვმოგზაურობდი, ვკითხულობდი, ვურთიერთობდი, ვფიქრობდი.

— როგორ აღმოჩნდით საქართველოში, სვანეთში... რით მიგიზიდავთ აქაურებამ ასე, რომ საცხოვრებლადაც დარჩით?

— საქართველოში ტურისტად ჩამოვედი. სვანეთში გავემგზავრეთები მიყვარს. სვანეთზე მანამდე არაფერი ვიცოდი. როცა ჩავედი და ყველაფერი ვნახე, თავბრუს დამეხვეა. აქ დღემდე იგრძნობა უდიდესი კულტურის სული, ადამიანის რაღაც უცნაური აღმასვლა ზევით, სინათლისკენ, ღმერთისკენ. მაინც რატომ ეზიდებოდნენ სვანები ქვებს მთების მწვერვალებზე, იქ აგებდნენ ტაძრებს, ხატავდნენ მათ საოცარი ფრესკებით, რთავდნენ ძვირფასი ხატებით, ნივთებით — ეს ხომ ასე ძნელია, აქ ისეთი რთული, მკაცრი ცხოვრებაა? რატომ? მე ეს ცოტათი მაგონებს ჩვენს რუს ჩრდილოელ პილიგრიმებს, რომლებმაც ვალაამის გრანიტის მწვერვალებზე ნამდვილი სამოთხე მოაწყვეს. ეს თითქოს ადამიანისთვის არაბუნებრივი ქმედებაა. მაგრამ სწორედ ამაში იკვეთება ადამიანი... აქაც მსგავსია, სვანეთში. ირაკლი აბაშიძეს აქვს ლექსი „შორეული შეხედა“. მე ბელა ახმადუღინას თარგმანში მაქვს წაკითხული. იქ არის სტრიქონები, რომლებიც მე პირადად ყველაფერს მისხნიან სვანეთზე და იმაზე, რატომ არის ჩემთვის აქ ყველაფერი ინტუიტიურად გასაგები და რატომ მომწონს: “Неистовый дух, вечно жаждущий света, молящийся, страждущий и дерзновенный”, ეს მშვენიერია!

სწორედ სვანეთში შევხვდი ბევრ ისეთ ადამიანს, რომლებიც მაშინვე შემეყვარდნენ. მათ მიმიღეს, დამიჯერეს და მანდეს თავიანთი ამბები. ბუნებრივია, შეუძლებელია, უბრალოდ ასე იცხოვრო და არაფერი აკეთო — აქ სვანეთში, ხომ უშველებელი სივრცეა ქმ-

ნადობისთვის. ჯერ ერთი, ფანტასტიკური ტურისტული ობიექტებია და ვფიქრობ, რომ ამ რეგიონის ყველაზე ნათელი მომავალი სწორედ წარმართულ ტურისტულ ინდუსტრიაშია. მნიშვნელოვანია, რომ ტურისტულ აქ სისტემატურად განვითარდეს, მოწესრიგებულად და ეკოლოგიურად — რომ არავითარი ზიანი არ მიადგეს ამ უნიკალურ გარემოს, არამედ შეიქმნას სამუშაო ადგილები და შემოსავლის წყარო ადგილობრივი მოსახლეობისთვის და შენარჩუნდეს ბუნება, არქიტექტურა, ხელოვნება, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

— თუ ჩვეულებრივ, ყოფით საკითხებს დავუბრუნდებით, მთაში ცხოვრება არც ისე იოლია. როგორ ცხოვრობთ ახლა იქ, როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე სვანეთში?

— ვითვისებ ცხოვრების ჩემთვის ახალ სტილს. მოსკოვში ყველაფერი იყო დაგეგმილი და წუთებით გათვლილი, საქართველოში კი თითქოს რაღაც მორევში ვმყოფი, რომელიც თვითონ მივაქანებს და რომელზე გავლენის მოხდენაც ყოველთვის არ შეგიძლია. აქ რაც მეტს გეგმავე, რაც მეტს ცდილობ, შეასრულო გეგმები, მაღალი იმას, რომ ადამიანებმა შეასრულონ თავიანთი პირობები — მით უარესი გამოდის. ყველაფერი თითქოს თავისთავად ხდება და შენ ამაში არ ერევი. ისლა დაგრჩენია, მიიღო და განკარგო ის, რაც გამოვიდა. ეს ძალიან საინტერესოა!

ამიტომ, “ჩვეულებრივი” დღეც აქ არ მაქვს — ეს მართლა მაგარია, რადგან არ მიყვარს რუტინა. ოჯახს, რომელიც ვცხოვრობ, პატარა საოჯახო სასტუმრო აქვს. ვესმარები მათ, რითაც შემიძლია — ფეისბუქზე მათი სასტუმრო სახლის გვერდს ვუძღვები, ვურთიერთობ ტურისტებთან. ვკვილობ, დრო გავატარო მესტიაში იმ ადამიანებთან, ვინც რაღაც იცის და ახსოვს სვანურ კულტურაზე, ისტორიაზე, ფოლკლორზე.

მოხარული ვიქნებოდი, თუ მოხერხდებოდა რაიმე სერიოზული პროგრამების განხორციელება კულტურული მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად — და არა უბრალოდ “სამუზეუმოდ”, მკვლად შესანახად. მნიშვნელოვანია, რომ ენა, აზრები, კულტურული სახეები ცხოვრობდეს ადამიანებში, ქმნიდეს, განავითარებდეს ადამიანებს...

რას ვაკეთებ? ვასუფთავებ მესტიის წმინდა გიორგის ეკლესიის იატაკს. ჩემი შეხედულებით, ესეც კულტურაა. ვასუფთავებ იატაკს და თან ვფიქრობ, როგორ მოვიძიო სახსრები და მოვაწყო ეკლესიაში გათბობა, რადგან ზამთარში აქ ძალიან ცივა, ხანდახან -20 გრადუსიც არის. ბავშვები ელექტროგამათბობლებს ეკვრიან, სულ 2 ცალია მთელ ტაძარში... მართალი ვითხრათ, ეს კონკრეტული პატარა საქმეც ახლა ყველაზე მნიშვნელოვნად მიმანია. მოსახლეობას არ აქვს სახსრები, რომ ცენტრალური გათბობა გაიყვანოს და იმედი გვაქვს, ვინმე დაინტერესდება ამ ამბით.

ველოდები ზაფხულს. შემიძლება ვიარო მთებში, გადავიღო ფოტოები, ვემელო სვანების საუნჯეები (იღმის), მივიღო სტუმრები, ვისაც მოუნდება აქეთ წამოსვლა. და კიდევ, როგორც ფსიქოლოგი, ამჟამად არ ვმუშაობ, დავიდალე ამით, თუმცა ხანდახან ქართველ კოლეგა ფსიქოლოგებს ვესმარები

კარგი სასწავლო პროგრამების ორგანიზებაში. ვიწვევ რუს ფსიქოლოგებს, კვალიფიციურ და საინტერესო სპეციალისტებს და ისინი თბილისში ატარებენ სემინარებს. მაგალითად, ახლა ძალიან საინტერესო პროგრამას ვაკეთებთ ბავშვთა ფსიქოთერაპიაზე, სანქტ-პეტერბურგიდან ჩამოდის ტრენერი... ეს იდეა, კონკრეტული საქმიანი კავშირების დანერგვა რუსეთსა და საქართველოს შორის, პროფესიონალებს, ადამიანებს შორის — მე მომწონს. ეს მნიშვნელოვანი მგონია, ადამიანური ურთიერთობების, საერთო კულტურული ველის აღდგენის პროცესი...

— რა პრობლემებია ზოგადად მთებში, თქვენი გადმოსახედიდან რა არის ყველაზე თვალსაჩინო?

— ჯერ ერთი, ყოფითი პრობლემებია. მაგალითად, სვანეთში ძალიან გჭირდება გაზი. სანამ გაზი არ იქნება, ვერანაირი სერიოზული ტურისტული ინფრასტრუქტურა ვერ განვითარდება. მეორე, სისტემური — სუსტი, ნაკლებინიციატივიანი მუნიციპალური ხელისუფლება, უმუშევრობა. მესამე — სულიერი. იმისათვის, რომ დარჩე მთებში, სვანეთში — ძალიან მტკიცედ უნდა გესმოდეს, ვინ ხარ და რატომ ხარ აქ. ეს შეუძლებელია მომხმარებელური მსოფლმხედველობით, რაც სტიქიურად ფორმირდება ახლა ახალგაზრდა თაობაში. უნდა იყოს რაღაც მაღალი ფასეულობები, რომლებიც ადამიანს შთააგონებს, არა უბრალოდ “იწვალოს სოფელში”, არამედ ამაყად იცხოვროს თავისი წინაპრების მიწაზე, შეინახოს ტრადიციები, ღირსეულად და სიხარულით შექმნას საკუთარი ბედი იქ, სადაც დაიბადა, იყოს ბატონი თავისი მშობლიური მიწის და იზრუნოს მასზე, როგორი რთულიც არ უნდა იყოს ეს. უნდა იყოს უფრო მტკიცე ეროვნული თვითშეგნება, გააზრებული კულტურული იდენტობა.

— ქართველებში რაიმე თავისებურებებს, სასიათის შტრიხებს თუ გამოარჩევდით? რა მოგწონს, რა — ნაკლებად?

— ალბათ, პროფესიიდან გამომდინარე, მე უფრო იმას ვაქცევ ყურადღებას, როგორ ურთიერთობენ ადამიანები და როგორ აწყობენ ურთიერთობებს.

ნეგატიურ შტრიხებზე ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ არის თავისებურებები, რომლებთან შეგუებაც ცოტა მიჭირს. მაგალითად, ქაოტურობა, არაპუნქტუალობა. კიდევ, ხანდახან მათებს, რომ ადამიანები არ იჩენენ ინიციატივას და აქტივობას, რომ რაღაც უკეთესობისკენ შეცვალონ, მაშინაც კი, როცა ამკარაა, რა უნდა ვაკეთდეს. თითქოს, მათ უფრო უიოლდებოთ პასიურად მოითმინონ უხერხულობა, ვიდრე აღგნენ და რაღაც გააკეთონ. მაგრამ ეს თვისება რუსებშიც მრავლადაა. არავინ არ წავა და არ ვაკეთებ მორყულ ღობეს, სანამ ის მთლად არ ჩამოიშლება...

— რას უამბობთ ხოლმე სხვებს, რა არის მთავარი, რითაც ახლობლებს თუ უცხოებს „იზიდავთ“ საქართველოსკენ?

— ვფიქრობ, არ ვიქნები ორიგინალური: საოცარი სილამაზის ბუნება, უძველესი ისტორია, საერთო რწმენა და წმინდანები, გამოგნებელი ხელოვნება, გემრიელი საკვები და სულით თბილი ადამიანები. ჯერჯერობით ასეთი მიწვევა კარგად მუშაობს (იციინის).

— რამდენ ხანს აპირებთ აქ გაჩერებას? როდის აპირებთ დაბრუნებას?

— ჯერ ამაზე არ ვფიქრობ. ალბათ, ოდესღაც დავბრუნდები, მაგრამ

ჯერ ჩემი ადგილი აქაა. რუსეთი, რასაკვირველია, მიყვარს, ეს ის არის, რისგანაც მე შევიქმენი სხეულითა და სულით. საქართველო კი მიყვარს, როგორც მშვენიერი მეგობარი, რომელთანაც ჯერ არ მინდა დაშორება.

— იქნებ, სვანეთში გათხოვდეთ კიდევ და საბოლოოდ დარჩეთ საცხოვრებლად... მოგწონს ქართველი მამაკაცები?

— ძნელი სათქმელია... თუ შემხვდება “ჩემი” ადამიანი, ალბათ ჩემთვის სულ ერთი იქნება, რუსი იქნება ის თუ ქართველი. არსებობენ ძალიან სხვადასხვანაირი რუსი მამაკაცები და ასევე ძალიან სხვადასხვანაირი ქართველი მამაკაცები. მათ ვერ განაზოგადებ. რაც ადვილი შესამჩნევია, ქართველები უფრო მზრუნველები არიან და თითქოს ცოტა უფრო ადვილად საურთიერთობი.

— ქალებზე რას იტყვით?

— ქალებიც ძალიან სხვადასხვანაირები არიან. თუმცა ყველას აქვს პირადი და ქალური ღირსების განცდა. ეს ალბათ ბევრმა უნდა ისწავლოს მათგან...

— საყოველთაო დაძაბულობის ფონზე, რას ფიქრობთ რუსულ-ქართულ ურთიერთობებზე და როგორ ხედავთ ამ ურთიერთობების პერსპექტივას?

— ბევრს არ ვიტყვი ამ თემაზე. რასაც ვიტყვი, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ჩემი პირადი განცდები, და არაფერი მეტი. მე მგონია, რომ იშვიათად ნახავთ ორ ხალხს, რომლებსაც აქვთ ასეთი დიდი ურთიერთმიზიდულობა და ასეთი ურთიერთგაგება პირადი ურთიერთობისას. ჩვენ საკმაოდ სხვადასხვაგვარები ვართ, რომ ერთმანეთისთვის საინტერესო ვიყოთ და ერთმანეთი შევავსოთ, მაგრამ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ღრმა კულტურული და სულიერი კოდი, როგორც ჩანს, მსგავსი გვაქვს. და ვფიქრობ, რომ ეს დღის დიდებული საჩუქარია, რომლისაც ალბათ მაღლიერი უნდა ვიყოთ და რომელსაც უნდა გავუფრთხილოთ. ჩვენ გვიყვარს საქართველო სითბოსა და სტუმართმოყვარეობისთვის, გულუხვობისთვის, სულიერებისთვის, სიმღერებისა და ლხინისთვის, უნარისთვის, შეიგრძნოს და შექმნას სილამაზე.

— ჩვენი პორტალი სახლზეა, მშობლიურ კერაზე... რა არის თქვენთვის სახლი?

— ჩემთვის სახლი ძალიან იდეალური ადგილია. ეს უშველებელი სამყაროა, სადაც ყველაფერი სასუა ჩემით, ჩემი ზრუნვითა და არსებობით, ყველაფერი ისეა მოწყობილი, როგორც მე მგონია სწორი და როგორც მხოლოდ მე მესმის ბოლომდე. ამ სამყაროში შემიძლია შევიყვანო მეგობრები და ახლობლები. ეს ადვილია, სადაც ვისვენებ და ვივსები ძალებით. ადვილი, სადაც ყველაზე ადვილია ვინმეზე ზრუნვა...

დასასრულად, თქვენ მომეცით საშუალება მეტყვა ყველაფერი, რაც მე მნიშვნელოვანი მგონია. და მინდა თქვენს მკითხველს ვუამბო იმ საქმის შესახებ, რომელიც მე და ჩემმა მეგობრებმა წამოვიწყეთ. ჩვენ გვინდა აღვადგინოთ წმინდა გიორგის ტაძარი მესტიაში და ყველაფერი ვაკეთებთ ამისთვის. ადგილობრივი მცხოვრებლებიც და ჩემი რუსი მეგობრებიც მესმარებიან, მაგრამ ეს არ არის საკმარისი და თუ სხვასაც გაუჩნდება ამაში მონაწილეობის სურვილი, ძალიან გამიხარდება. ყველაზე მთავარია, რომ ამას ერთად ვაკეთებთ, ერთიანი მართლმადიდებლური რწმენით.

ლელა ზურაბიანი

სკორტული კუთხე მიჰყავს შურნაღისტ ბიორბი ჯალალანია ლიონელ მესის მემკვიდრე – ინტერვიუ კაულო დიბალასთან



“პალერმოს” დატოვებაც რთული იყო. როგორც ჩანს, იოლად ვერ გვუბრით გარემოს შეცვლას... – პალერმოსში თავს შესანიშნავად ვგრძობდი და ეს მიუხედავად მისა, რომ კლუბში ბევრი პრობლემა იყო. თავის დროზე, ჩემი პატარა ქალაქის დატოვებაც გამიჭირდა, სადაც გავიზარდე და პიროვნებად ჩამოვყალიბდი. თუმცა, ჩემი განვითარებისთვის იტალიაში გამგზავრება უბრალოდ აუცილებელი იყო და ეს ნაბიჯი გა-“იუვენტუსში”

იმედია, ეს ასეც მოხდება. ამ “იუვენტუსს” ყველაფერი შეუძლია. – “იუვენტუსს” დანი ალვეში დაემატა. როგორ ფიქრობთ, ბევრ გოლს გაიტანთ მისი ჩაწოდებების შემდეგ? – დანი ალვეშის თამაში ყველამ კარგად ვიცით და მას ჩემი შეფასება ნამდვილად არ სჭირდება. თანაბრად ძლიერია როგორც დაცვაში, ისე შეტევაში, რაც იშვიათი შემთხვევაა. დარწმუნებული ვარ, რომ დანი გააძლიერებს “იუვენტუსს” და მისი გადაცემაებით, მეც და “იუვეს” სხვა თავდამსხმელებიც არაერთ გოლს გავიტანთ. – “იუვენტუსში” მირალემ პიანჩიცი ითამაშებს. მასზე რას იტყვით? – ჩემთვის ცოტა მოულოდნელი, მაგრამ ძალიან სასიამოვნო იყო, როდესაც გავიგე, რომ მირალემ პიანჩი “იუვეში” გადმოვიდა. რამდენიმე დღე, სიახლეებს ვერ მივადევნე თვალს და უცებ გავიგე, რომ პიანჩიმ კონტრაქტი გააფორმა. ვფიქრობ, მირალემ სწორედ იმ ტიპის ფეხბურთელია, როგორც გასულ სეზონში გვაკლდა. ორი აზრი არაა, რომ პიანჩი ძალიან გააძლიერებს “იუვენტუსს”. – საფრანგეთის ნაკრებში პოლ პოგბამ სრულად ვერ გამოავლინა შესაძლებლობები და ფინალში მწარე მარცხი იწვნია. როგორ ფიქრობთ, ეს ცუდად ხომ არ აისახება მის კარიერაზე? – პოგბა ძალიან მშვეიდი და გაწონასწორებული ადამიანია. როდესაც “იუვენტუსში” თამაშის გამო, მწვავედ აკრიტიკებდნენ, წყობიდან არ გამოხეულა და ცდილობდა, რომ შესაძლებლობები მოედანზე დაემტკიცებინა. დარწმუნებული ვარ, რომ ფინალში მარცხს და კრიტიკას გაუმკლავდება და კიდევ უფრო ძლიერი დაგვიბრუნდება, ვიდრე გასულ სეზონში იყო. – ხომ არ გეშინიათ, რომ ამ ზაფხულს, პოგბა სხვა გუნდში გადავა? – პოგბა “იუვენტუსში” დარჩება და ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. მე ვე-ლაპარაკე პოლს და ჩვენი დიალოგის შინაარსიდან გამომდინარე, ის არსად არ აპირებს წასვლას. – ამბობენ, რომ დიდია შანსი, “იუვენ-

ტუსმა” თქვენი თანამემამულე, ხაგიერ მასკერანო დაიმატოს... – მასთან ერთად, არგენტინის ნაკრებში ვითამაშე და ვთვლი, რომ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია თავის პოზიციაზე. თანაც, მასკერანოს თანაბარი წარმატებით შეუძლია თამაში როგორც დაცვაში, ისე ნახევარდაცვაში. მომწონს საუკეთესო ფეხბურთელების კამპანიაში ყოფნა და ბუნებრივად, რომ მასკერანოს ტრანსფერი ძალიან გამახარებს. მაგრამ რამდენად რეალურია არ ვიცი. – მორატას წასვლა დიდი დანაკლისია? – ძალიან დიდი დანაკლისია თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო ორ სეზონში, ალვარო “იუვენტუსის” ერთ-ერთი ლიდერი და გამორჩეული ფეხბურთელი იყო. ამასთან, მორატა ბრწყინვალე ადამიანია, რომელიც ძალიან დამხმარა ტურნთან ადაპტაციაში. მინდა, მორატას მადრიდში წარმატებები ვუსურვო. – არგენტინის ნაკრებმა კოპა ამერიკის ფინალში მწარე მარცხი იწვნია, რის შემდეგაც ლიონელ მესიმ სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ გააკეთა განცხადება. როგორ შეაფასებთ ამ ფაქტს? – ეს ცხელ გულზე გაკეთებული განცხადება იყო და დარწმუნებული ვარ, რომ მესი ამ გადაწყვეტილებას შეცვლის. ლიონელისთვის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მარცხი დიდი დარტყმა იყო, რასაც კოპა ამერიკაც დაემატა და მისი იმედგაცრუება ლოგიკური და გასაგებია. თუმცა, აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს ნაკრებს და მჯერა, რომ ეს ასეც მოხდება. – იქნებ 2018 წელს გატყდეს ნავსი და მესიმ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგოს. რამდენად დიდია ამის შანსი? – თუ ჩვენ იმაზე ვიფიქრებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატი მესიმ უნდა მოიგოს, მაშინ არაფერი გამოვა, რადგან ფეხბურთი გუნდური თამაშია და ეს ტვირთი მთელმა გუნდმა უნდა აწიოს. არგენტინის ნაკრებში უძლიერესი ფეხბურთელები თამაშობენ და ოპტიმისტურად უნდა ვიყოთ განწყობილნი, მჯერა, რომ სწორედ არგენტინა მოიგებს მუნდიალს და იმ გუნდში მეც ჩემ სიტყვას ვიტყვი.

ფეხბურთელები, რომლებსაც ვეროპის ჩემპიონატსა და კოპა ამერიკაზე არ უთამაშიათ, კლუბებს უბრუნდებიან და ახალი სეზონისთვის მზადებას იწყებენ. მათ შორისაა პაულო დიბალა, რომელიც უკვე ტურინშია და ახალ სეზონს ენთუზიასით ელოდება. ქვემოთ, 22 წლის შემტევთან საინტერესო ინტერვიუს გავცნობთ. – ესპანელები მიიჩნევენ, რომ თქვენ ლიონელ მესის მემკვიდრე ხართ და “ბარსელონაში” გააგრძელებთ კარიერას... – “იუვენტუსში” მხოლოდ ერთი წელია ვთამაშობ და ჯერჯერობით, აქ ყველაფერი მომწონს. მოვიგეთ იტალიის სუპერთასი, თასი და სკუდეტო, გულშემატკივრებისგან კი დიდ სიბოხს ვგრძობ. არასდროს დავფიქრებულვარ ტურინიდან აბარგებაზე და ალბათ, კიდევ დიდ ხანს არ დავფიქრებ. – არაერთხელ გითქვამთ, რომ თქვენთვის

დავდგო. ასევე მოხდა “იუვენტუსში” გადასვლის დროსაც, ტურინიდან წასვლის მიზეზი კი ნამდვილად არ მაქვს. მჭირდება სათამაშო პრაქტიკა, გამოცდილება და მაღალ დონეზე საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა, ამ მხრივ კი “იუვენტუსზე” კარგ გუნდს ვერ ვიპოვნი. – მას შემდეგ, რაც “იუვენტუსმა” ზედი-ზედ 5 სკუდეტო მოიგო, გუნდი ჩემპიონთა ლიგაზეა დაგეგმილი. როგორ ფიქრობთ, შესწევს “იუვეს” ლიგის მოგების ძალა? – “იუვენტუსი” ისეთივე დიდი კლუბია, როგორც “რეალი”, “ბარსელონა” და “ბაიერნი”. ორი წლის წინათ, “იუვე” ჩემპიონთა ლიგის ფინალში იყო, გასულ სეზონში კი სულ ცოტა დაგვაკლდა, რომ “ბაიერნის” ბარიერი გაგვეარა. რა თქმა უნდა, გვაქვს იმის რესურსი, რომ ვეროპის უპრესტიჟულესი ტურნირი მოვიგოთ და

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ “ლაკრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი”-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა “გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ “ლაკრენტი ბერია – XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი” (რედაქტორი ალექსანდრე შენაველია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ოფისში. ტელ. 599.209.624 თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374.

სახალხო მოძრაობა “სამეგრელოს” ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ველოსის წიგნი “კამპანია”, რომელიც აღრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში. წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუზუარ ბოზუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე მეტრო “მარჯანიშვილის” ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან. ცნობისათვის დარეკეთ – 557.324.374

ამერიკის საელჩოში მიღების დროს, აშშ-ის ელჩმა სიამაყით დაიტრახა, რომ შტატ ალბანიაში მათ ჰყავთ ჯადოქარი, რომელიც მკვდრებს აცოცხლებს. მიღებაზე მყოფმა სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიანესლავ მილოტიჩემ აუღელვებლად უპასუხა, რომ სსრკ-ში არის შესანიშნავი სპორტსმენი, რომელიც სიბილით თვითმფრინავსაც კი უსწრებს. როდესაც ნიკიტა ხრუშჩოვმა ამის შესახებ გაიგო, თავის კაბინეტში დაიბარა მილოტიჩი. – ენას რატომ ატლიკინებთ, მიხაილოვიჩი? რომ მოგეთხოვონ ამ სპორტსმენის წარდგენა, რა გავაკეთოთ?! – ჩვენ მათ მოვთხოვთ, ჯერ თავისი ჯადოქარი წარმოგვიდგინონ. – და თუ წარმოგვიდგინეს? – მაშინ ჩვენ შემოწმებამო მოვითხოვთ, მაგალითისთვის სტალინის გაცოცხლებას. – ჩავთვალთ, გაცოცხლა, მერე? – მერე ის, რომ, ამხანაგო ნიკიტა, შენ თვითმფრინავს კი არა, რაკეტას გასწრებ!

ბარლითხვალი სახალხო მკურნალი. რომელმაც მოუგო ომი მკვდარ ნაშიონალურ ფარმაკომაგიას, მის დაქირვას რომ სდილობდა. ღომინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათევისებთან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროსს, ფსიქოკურად დაავადებულებს, პეკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შეეღის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქილენას, პოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნადღლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, ამყარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას. ახლა მკურნალის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზუა და დოლო. კოორდინატები: თბილისი, აჭყურის ქუჩა №70 (მეტრო “ისანთან”), ყოველდღე – 10-დან 16 საათამდე. ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48 მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმეულები მიღიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან